გებრიელ ა. ალმონდი

პოლიტიკური მეცნიერება:
დისციპლინის ისტორია

თბილისი
2014

შინაარსი

I შესავალი..... 3
II პროგრესულ-ეკლექტური ისტორიის თემები 6
III ისტორიული ექსკურსი 7
ა. ბერძნები და რომაელები..... 7
B. შერეული კონსტიტუციები და ბუნებითი სამართლის თეორია ისტორიაში..... 14
გ. XIX საუკუნე 20
დ. პოლიტიკური მეცნიერების პროფესიონალიზაცია XX საუკუნეში..... 25
1. ჩიკაგოს სკოლა..... 27
2. II მსოფლიო ომი და ომისშემდგომი ბიჰევიორისტული რევოლუცია..... 31
3. პოლიტიკური მეცნიერება ევროპაში 43
IV ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები დისციპლინის ისტორიაზე..... 48
ა. ანტიმეცნიერება 49
ბ. პოსტმეცნიერება, პოსტბიჰევიორიზმი..... 53
გ. ინტეგრალიზმი და მაქსიმალიზმი: ანტიპლურალიზმი 56
1. თეორია და პრაქტიკა..... 56
2. მეცნიერული მაქსიმალიზმი: რაციონალური არჩევანის მიდგომა 59
დასკვნა..... 65

I შესავალი

თუკი ამოცანად დავისახავთ, ავაგოთ პოლიტიკური მეცნიერების ისტორიული განვითარების მოდელის მრუდი, რომელიც ასახავს პოლიტიკის შესწავლის საქმეში სამეცნიერო პროგრესს ეპოქათა მიხედვით, მაშინ ბერძნული პოლიტიკური მეცნიერებიდან უნდა დავიწყოთ. მრუდი ოდნავ ზემოთ აიწევდა რომის ხანაში, არავითარი პროგრესი არ იქნებოდა შუა საუკუნეებში, ოდნავ ამაღლდებოდა აღორძინებისა და განმანათლებლობის ეპოქებში, მნიშვნელოვნად წინ წაიწევდა XIX საუკუნეში და სოლიდური განვითარების დონეს მიაღწევდა XX საუკუნეში, როდესაც პოლიტიკურმა მეცნიერებამ პროფესიული მახასიათებლები შეიძინა. ამ მრუდით შეიძლებოდა განსაზღვრულიყო ზრდა და თვისობრივი სრულყოფა ცოდნის იმ სფეროში, რომელიც პოლიტიკური მეცნიერების ორ ფუნდამენტურ საკითხს უკავშირდება: პოლიტიკური ინსტიტუტების ნიშან-თვისებებსა და კრიტერიუმებს, რომლითაც მათ ვაფასებთ.

XX საუკუნის აღმავალ მრუდში სამი გარდატეხის წერტილი უნდა მოინიშნოს: ომთაშორის პერიოდში (1920-1940 წლები) ჩიკაგოს სკოლამ დაამკვიდრა ორგანიზებული ემპირიული კვლევების პროგრამები. ამ პროგრამებში ყურადღება გამახვილებული იყო პოლიტიკის ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ ინტერპრეტაციებზე და ნაჩვენები იყო რაოდენობრივი ფაქტორის მნიშვნელობა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ათწლეულებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა `ბიჰევიორისტული~ პოლიტიკური მეცნიერება, დაიხვეწა არაერთი ტრადიციული ქვედისციპლინა და ამაღლდა პროფესიული დონე (შესაბამისად, დაარსდა ახალი კვლევითი დეპარტამენტები, რომლის წევრებსაც ირჩევდნენ სამეცნიერო დამსახურების მიხედვით; ჩამოყალიბდა არაერთი ასოციაცია და სპეციალისტთა საზოგადოება; დაფუძნდა სამეცნიერო ჟურნალები და ა.შ.). ამასთანავე, `რაციონალური არჩევანის / მეთოდოლოგიურად ინდივიდუალისტურ~ მიდგომაში დამკვიდრდა დედუქციური და მათემატიკური მეთოდები, ასევე ეკონომიკური მოდელები.

დისციპლინის ისტორიული განვითარების ამგვარ გააზრებას შეგვიძლია `პროგრესულ-ეკლექტური~ ხედვა ვუწოდოთ. მას იზიარებს ყველა, ვინც მიიჩნევს, რომ პოლიტიკური მეცნიერება წესებზე, მონაცემებსა და მკაფიო დასკვნებზე დამყარებული კვლევაა, რომელიც ობიექტურობის ძიებისაკენაა მიმართული. ამგვარი კრიტერიუმი გამოსადეგი იქნებოდა არა მარტო იმ კვლევებში, რომელთაც `ბიჰევიორისტულს~ ვუწოდებთ, არამედ პოლიტიკურ ფილოსოფიაშიც (ისტორიულსა თუ ნორმატიულში), კონკრეტული შემთხვევების ემპირიული (ისტორიული თUუ თანამედროვე) კვლევისას, სისტემატიზებულ შედარებით კვლევებში, სტატისტიკურ კვლევებში, რომლებიც აღწერას და მონაცემთა რაოდენობრივ დამუშავებას მოითხოვს, ასევე იმ კვლევაში, რომელიც ფორმალურ მათემატიკურ მოდელირებას და ექსპერიმენტებს (როგორც რეალურს, ისე წარმოსახვითს) გულისხმობს. ამ მნიშვნელობით, ეს უფრო ეკლექტური და არაიერარქიული სტანდარტია, ვიდრე ინტეგრალური.

ის `პროგრესულია~ იმ გაგებით, რომ შემოაქვს გაუმჯობესების, დახვეწის ცნება პოლიტიკური კვლევების ისტორიაში, ცოდნის რაოდენობაში და მის ხარისხში, მიღებული ახალი მონაცემების სიღრმისა და სიზუსტის თვალსაზრისით. რაც შეეხება სიღმისეულ წვდომას, მეცნიერთა უმრავლესობა ეთანხმება აზრს, რომ მაიკლ უოლზერს (Walzer 1983) უფრო კარგად ესმის სამართლიანობის ცნება, ვიდრე პლატონს, ხოლო სიზუსტის (სიღრმისეული წვდომის) თვალსაზრისით, რობერტ დალი (Dahl 1989) დემოკრატიის უკეთეს თეორიას გვთავაზობს, ვიდრე არისტოტელე.

პოლიტიკური მეცნიერების ისტორიის ოთხი ურთიერთდაპირისპირებული შეხედულება არსებობს. ორი მათგანი ეჭვქვეშ აყენებს მის სამეცნიერო ხასიათს. ეს `ანტისამეცნიერო" და `პოსტსამეცნიერო~ პოზიციებია. დანარჩენი ორი, მარქსისტები და რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსები პურისტული, იერარქიული მონიზმის სასარგებლოდ ცდილობენ შეცვალონ მისი ეკლექტიზმი. სტრაუსის მიმდევრები გამოხატავენ `ანტისამეცნიერო~ თვალსაზრისს, რომ სამეცნიერო მეთოდოლოგიის დამკვიდრება მავნე ილუზიაა, რომელიც ამარტივებს და აბუნდოვნებს პრობლემათა გაცნობიერებას და პოლიტიკის შესახებ

ძირითადი სიმართლის დადგენა მხოლოდ კლასიკოსებისა და ძველი ტექსტების მოშველიებით შეიძლება. დისციპლინის ისტორიის `პოსტემპირიული~, `პოსტბიჰევიორისტული~ მიდგომა დეკონსტრუქციულ ხასიათს იღებს. არაა აღიარებული დისციპლინის რაიმე გამორჩეული, პრივილეგირებული ისტორიის არსებობა. არსებობს დისციპლინის იდენტურობათა პლურალიზმი, რომელთაგანაც თითოეული დისციპლინის ისტორიას თავისებურად უყურებს.

მარქსისტული, ნეომარქსისტული და `კრიტიკული თეორიის~ მიდგომები ცვლის ჩვენს ეკლექტიზმს იმის მტკიცებით, რომ პოლიტიკური მეცნიერება, ან უფრო სწორად, სოციალური მეცნიერება (რამდენადაც შეუძლებელია არსებობდეს იზოლირებულად პოლიტიკური მეცნიერება) შედგება უპირობო ჭეშმარიტებებისგან, რომლებიც აღმოჩენილი და გადმოცემულია მარქსის ნაშრომებში და დამუშავებულია მისი მომხრეებისა და მიმდევრების მიერ. ეს ხედვა არ მიჯნავს პოლიტიკურ მეცნიერებას საზოგადოების შესახებ მეცნიერებისაგან. მეცნიერება საზოგადოების შესახებ საკუთარ თავს ავლენს დიალექტიკური განვითარების პროცესში. რაციონალური არჩევანის თეორია უარყოფს ჩვენს ეკლექტიზმს პოლიტიკური მეცნიერების ისეთი იერარქიული მოდელის სასარგებლოდ, რომელიც მიისწრაფის, შექმნას მკაცრი ფორმალური მათემატიკური თეორიების ნაკრები, რაც, პოლიტიკის ჩათვლით, მთლიანად სოციალური რეალობის ასახსნელად გამოდგებოდა.

პოლიტიკურ მეცნიერება მოიცავს როგორც სამეცნიერო, ასევე ჰუმანისტურ კომპონენტებს და ორივე სამეცნიერო ძიების ერთნაირი იმპერატივებით იმართება მონაცემთა უეჭველობით და დასკვნების ობიექტურობით. ცოდნის გაღრმავებაში შეტანილი წვლილი შეიძლება მომდინარეობდეს ღრმა წვდომის უნარიდან ან ვირტუოზობიდან. ჩვენ ასევე ვუშვებთ, რომ მეცნიერებათა ოჯახის ონტოლოგიის ფარგლებში, თუკი სამეცნიერო ცოდნის კარლ პოპერისეული სქემიდან (`ღრუბლები და საათები~. იხ. Popper 1972) ამოვალთ, ის ღრუბლიან მხარეს განთავსდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ მეცნიერების მიერ აღმოჩენილი კანონზომიერებები უფრო მეტად ალბათობითია, ვიდრე რაიმე კანონს

დაქვემდებარებული და მათ უმეტესობას მოქმედების შედარებით ნაკლები პერიოდი გააჩნია.

II პროგრესულ-ეკლექტური ისტორიის თემები

პოლიტიკური მეცნიერების მთავარი მიზანი, რომელიც მას საერთო აქვს ყველა მეცნიერებასთან, არის ცოდნის შექმნა, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც მონაცემებიდან გამოტანილი დასკვნები ან განზოგადებები პოლიტიკის შესახებ. კინგი, ქეოჰეინი და ვერბა (King, Keohene and Verba 1994: 7) წერენ, რომ `სამეცნიერო კვლევის მიზანია სამყაროს შესახებ ემპირიული ინფორმაციის საფუძველზე დასკვნების გაკეთება~. ეს კრიტერიუმი აშკარაა თვით სტრაუსის მიმდევრების ექსპლიციტურად `ანტისამეცნიერო~ ნაშრომებისათვის.. ისინიც განიხილავენ აშკარა ფაქტებს, აანალიზებენ მათ და ამის საფუძველზე გამოაქვთ დასკვნები. შეუძლებელია, ისეთი სამეცნიერო მოღვაწეობის წარმოდგენა, რომელიც არ ემყარება ფაქტებით დასაბუთებული დასკვნების მეთოდოლოგიურ საფუძველს. ეს ასევე ეხება მარქსისტულ და ნეომარქსისტულ კვლევებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ კვლევებისათვის ამოსავალია სოციალური პროცესების დეტერმინირებულობა, და აქედან გამომდინარე, ისინი არ ექვემდებარებიან ფაქტებით დასაბუთებისა და ლოგიკური დასკვნების გამოტანის წესებს. ეს მოიცავს პოლიტიკური მეცნიერების, კლიფორდ Gგირცისეულ (Geertz 1973) `წმინდა აღწერილობით~ სტილს, რომლის ნიმუშია უომაკის (Womack 1968) გამოკვლევა მექსიკელ გლეხთა ლიდერ ზაპატაზე, რაც წარმოადგენს უბრალოდ ფაქტების გადმოცემას, და დაუნსის (Downes 1957), რაიკერისა (Riker 1962) და ოლსონის (Olson 1965) ნაშრომებს, როგორც მეორე უკიდურესობას, რომელიც გამოიხატება დედუქციური მეთოდით დასკვნების გამოტანაში. ზაპატას სახით, ჩვენ ვხვდებით მონაცემებს დასკვნების გარეშე და ნაშრომში *დემოკრატიის ეკონომიკური თეორია* _ მხოლოდ განზოგადებას ემპირიული მონაცემების გარეშე. მიუხედავად ამისა, ჰირშმანი (Hirschmann 1970) ამბობს, რომ გლეხთა ლიდერის ბიოგრაფია უხვადაა გაჯერებული განმარტებებითა და პოლიტი-

კური ქმედების იმპლიკაციებით, დაუნსის აქსიომებიდან და თეორემებიდან გამომდინარეობს მთელი რიგი კონცეპტუალური დასკვნები, რომელთა შემოწმებაც შეიძლება კონკრეტულ გარემოებებში. ორივე მათგანი შეიძლება იოლად გაყალბდეს, როგორც საპირისპირო მონაცემებით, ასევე შესაძლო ლოგიკური შეცდომებით.

III ისტორიული ექსკურსი

ა. ბერძნები და რომაელები

დიდი იყო მონდომება, რომ ძველი ახლო აღმოსავლეთის მოაზროვნეთა ნაშრომები ჩართულიყო პოლიტიკური მეცნიერების კლასიკად მიჩნეულ კვლევათა სიაში. მიუხედავად ამისა, ყოველივე ამას მხოლოდ წინაისტორიად თუ მივიჩნევთ. ბიბლიური ტექსტების ერთგულება ვერ გვაიძულებს, სერიოზულ სამეცნიერო კონცეფციად მივიჩნიოთ მოსეს სიმამრის რჩევა, თუ როგორ აჯობებდა ებრაელთა ქიშპის მოგვარება ანდა როგორი უნდა ყოფილიყო სამეფოს სჯულის კანონი. თუმცა ჰეროდოტეს ეპოქაში (ძვ.წ. 484-425) საბერძნეთში უკვე აანალიზებდნენ პოლიტიკურ იდეებსა და იდეალებს, მსჯელობდნენ პოლიტიკის სხვადასხვა ტიპების თვისებათა შესახებ, სახელმწიფო მოღვაწეობისა და მოქალაქეობის თაობაზე და ეს ყოველივე ცხოვრებისეული სიბრძნის ნაწილად იყო ქცეული. განათლებული ბერძნები, რომლებიც ცხოვრობდნენ ძვ წ. V საუკუნეში სხვადასხვა დამოუკიდებელ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოში, ლაპარაკობდნენ ერთსა და იმავე ენაზე და თაყვანს სცემდნენ ერთსა და იმავე ღმერთებს. მათ ჰქონდათ ერთიანი ისტორიული და მითოლოგიური მახსოვრობა, ჩართულნი იყვნენ ქალაქთაშორის ვაჭრობაში და დიპლომატიურ ურთიერთობებში, ქმნიდნენ კავშირებს და ომობდნენ. ისინი დიდ ინტერესს იჩენდნენ ინფორმაციისა და მსჯელობის მიმართ მმართველობისა და პოლიტიკური ორგანიზაციის, ეკონომიკის, თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის თაობაზე.

საკუთრივ პოლიტიკური მეცნიერების ისტორია პლატონიდან (ძვ.წ. 428-348) იწყება. მისი *რესპუბლიკა*, *პოლიტიკოსი* და *კანონები* პოლიტიკური მეცნიერების პირველი კლასიკური ნაშრომებია. ამ სამ თხზულებაში პლატონმა წარმოადგინა მოსაზრებები სამართლიანობის, პოლიტიკური სიქველის, პოლიტიკის ნაირსახეობათა და მათ ტრანსფორმაციათა შესახებ. ეს მოსაზრებები პოლიტიკური თეორიების სახით არსებობას განაგრძობდნენ XIX საუკუნეში და არსებობენ დღესაც. პლატონის თეორიები პოლიტიკური სტაბილურობისა და მმართველობის ოპტიმიზაციის შესახებ, რომლებიც სრულყვეს და გადაამუშავეს არისტოტელემ და პოლიბიოსმა, დემოკრატიული ტრანზიციისა და კონსოლიდაციის შესახებ თანამედროვე მსჯელობების წინამორბედად უნდა მივიჩნიოთ. *რესპუბლიკაში* პლატონი წარმოადგენს იდეალურ რეჟიმს, რომელიც დაფუძნებულია ცოდნასა და ჭეშმარიტებაზე, რისი წყალობითაც მყარდება სიქველის მმართველობა. შემდეგ ის წარმოადგენს სხვა პოლიტიკური რეჟიმების ოთხ ურთიერთდაკავშირებულ ტიპს _ ტიმოკრატიას, ოლიგარქიას, დემოკრატიასა და ტირანიას. ტიმოკრატია სახელმწიფოს იდეალის შერყვნაა, რომელშიც ღირსება და სამხედრო დიდება ცვლიან ცოდნასა და სიქველეს; ოლიგარქია ტიმოკრატიის შერყვნაა, რომელშიც ღირსებას ენაცვლება კეთილდღეობა, როგორც მთავარი კრიტერიუმი; დემოკრატია, თავის მხრივ, საფუძველს ურყევს ოლიგარქიის პრინციპებს და ის თანდათანობით გადაიზრდება ტირანიაში.

პოლიტიკოსში, რომელიც გაცილებით უფრო გვიან დაიწერა, ვიდრე *რესპუბლიკა*, ასევე *კანონებში*, რომელიც პლატონმა ცხოვრების მიწურულს შექმნა (პელოპონესის ომის გამომაფხიზლებელი ექსპერიმენტისა და სირაკუზაში მისი მისიის კრახის შემდეგ), იგი განასხვავებს იდეალურ რესპუბლიკასა და სახელმწიფო მოწყობის რეალურად შესაძლებელ სახეობებს. რეალური რეჟიმების კლასიფიკაციისათვის მას შემოაქვს ერთის, მცირე რიცხვის, ბევრის მმართველობა და თითოეული წარმოდგენილია როგორც სუფთა, ისე შერეული სახით. ამ მიდგომიდან წარმოდგა პოლიტიკური რეჟიმების კლასიფიკაცია ექვს ტიპად - მონარქია, ტირანია, არისტოკრატია, ოლიგარქია, დემოკრატია, ოხლოკრატია. ეს სქემა სრულყო და დაამუშავა არისტოტელემ თავის *პო-*

ლიტიკაში და ის მრავალი საუკუნის მანძილზე, XIX საუკუნის ჩათვლით, პოლიტიკური მმართველობის ტიპების სისტემატიზაციის საფუძველი იყო.

კანონებში პლატონმა წარმოადგინა `შერეული კონსტიტუციის~, როგორც საუკეთესო და ყველაზე სტაბილური რეჟიმის პირველი ვერსია, რომლის პირობებშიც შესაძლებელია სახელმწიფოს დეგრადაციის თავიდან აცილება. ამის შესაძლებლობა ივარაუდებოდა პოლიტიკური რეჟიმების ექვსდონიან კლასიფიკაციაში. შერეული კონსტიტუცია, რა სახითაც ის ჩამოყალიბებულია პლატონთან, შესაძლებლობას იძლევა, შევინარჩუნოთ სტაბილურობა თითქოსდა ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპების შეთანხმებით. იგულისხმება სიბრძნისა და სიქველის მონარქიული პრინციპი და თავისუფლების დემოკრატიული პრინციპი. ამგვარი მიდგომა გაიზიარა და გააღრმავა არისტოტელემ. ეს არის პოლიტიკური მეცნიერების ისტორიაში პირველი განმარტებითი თეორია, რომელშიც ინსტიტუტები, ურთიერთდამოკიდებულება და იდეები დაკავშირებულია მმართველობის პროცესთან და მის განხორციელებასთან. ყოველივე ეს ხელისუფლების შტოებად დაყოფის თეორიის წინამორბედია.

არისტოტელე (ძვ. წ. 384-322) ოცი წლის განმავლობაში პლატონის აკადემიის წევრი იყო, მოგვიანებით კი ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელი, რის შემდეგაც დაბრუნდა ათენში და ჩამოაყალიბა თავისი საკუთარი ლიცეუმი, სასწავლებელი, რომელთანაც არსებობდა ბიბლიოთეკა-მუზეუმი და კვლევითი ინსტიტუტი. ლიცეუმში სწავლების მეთოდი ინდუქციური, ემპირიული და ისტორიული იყო, განსხვავებით პლატონის აკადემიის იდეალისტური და დედუქციური მიდგომისაგან. გადმოცემით, ლიცეუმში შეკრებილი იყო ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების 158 კონსტიტუცია, რომელთაგან შემორჩა მხოლოდ ერთი _ ათენისა. არისტოტელეს ლექციები, რომლებიც მისი *პოლიტიკის* საფუძველი გახდა, სწორედაც რომ ამ დოკუმენტების მონაცემების ანალიზსა და ინტერპრეტაციას წარმოადგენდა.

თუ პლატონის მეტაფიზიკამ იგი მიიყვანა რეალური სამყაროსა და მისი გაგების ადამიანური შესაძლებლობის უარყოფამდე, მან ჩათვალა რომ იდეალური ფორმები რეალობის მიახლოებითი ანარეკლია,

არისტოტელე საპირისპიროდ გაცილებით უფრო პრაქტიკული პოზიციებიდან უდგებოდა პოლიტიკური სინამდვილის განხილვას, მსგავსად ექიმისა, რომელიც თვალყურს ადევნებს ავადმყოფობას და ჯანმრთელობას.. ამასთან დაკავშირებით სერ ერნსტ ბარკერი აღნიშნავს:

`გადაჭარბებული არ იქნებოდა *პოლიტიკის* ზოგიერთი პასაჟის განსაკუთრებული სამედიცინო მიდრეკილება. ეს არ წარმოადგენს უბრალოდ `ავადმყოფობათა აღწერის~ დაგროვებას. ეს ალბათ უფრო სახელმწიფო მოღვაწისა და გამოცდილი ექიმის ხელოვნების შედარების სურვილია. ის, რასაც *პოლიტიკის* V წიგნში ვაწყდებით, უფრო კონსტიტუციათა პათოლოგიის ღრმა შესწავლასა და ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის მიდრეკილებათა გამოვლენას ჰგავს; იმავე წიგნში ვაწყდებით თერაპიასაც, როგორც ეს თვალნათლივ არის დადასტურებული ერთ-ერთ პასაჟში (XI თავის ბოლოს) რომელიც გვთავაზობს მმართველობის ფორმას და ტირანიისგან განკურნების საშუალებას.

სახელმწიფო წყობის თეორიას არისტოტელე იწყებს პლატონის სახელმწიფოთა ექვსდონიანი კლასიფიკაციით, მაგრამ, რეალისტური თვალსაზრისიდან გამომდინარე, ამტკიცებს, რომ სინამდვილეში არსებობს ოთხი მნიშვნელოვანი ტიპი: ოლიგარქია და დემოკრატია (ამ ორ ტიპად შეიძლება მივიჩნიოთ ბერძნული პოლისების უმრავლესობა); “პოლიტია” - კონსტიტუციური ან “შერეული” ტიპის მმართველობა, რომელიც ოლიგარქიისა და დემოკრატიის კომბინაციაა და, იმავდროულად, მმართველობის საუკეთესო ფორმაა (რადგანაც ის ხელს უწყობს სიქველის სტაბილურობასთან თანხმობას); დაბოლოს, ტირანია, რომელიც ყველაზე უარესია. თავისი არგუმენტის განსამტკიცებლად არისტოტელე მიუთითებს: მიუხედავად იმისა, რომ პოლისების სოციალური სტრუქტურა განსხვავდება ეკონომიკური განვითარების, დასაქმების სტრუქტურის, მათი მცხოვრებლების პროფესიებისა და სტატუსის მიხედვით, ეს განსხვავებები შეიძლება დავიყვანოთ მდიდარი და ღარიბი მოქალაქეების სხვადასხვაგარ გადანაწილებამდე. იქ, სადაც გაბატონებულია მდიდარი, სახეზეა ოლიგარქია; იქ, სადაც დომინირებს ღარიბი, არსებობს დემოკრატია. იქ, სადაც დომინირებენ საშუალო კლასები, შეიძლება არსებოდეს `შერეული~ ან კონსტიტუციური მმართველობა, რომელსაც ახასიათებს სტაბილურობის ტენდენცია,

ვინაიდან აქ რადიკალურ ინტერესებს გადაწონის ზომიერი ინტერესები. პოლიტიკური სტრუქტურები და მმართველ პირთა შერჩევის პრინციპები მყარდება ხელისუფლების სათათბირო, მაგისტრატული და სასამართლო ორგანოების მიერ, სხვადასხვა კლასებისათვის მათში შესვლის უფლების შესაბამისად.

პოლიტიკის თანამედროვე მკვლევარები - დალი, როკანი, ლიპსეტი, ჰანტინგტონი, ვერბა და პატნემი - ერთის მხრივ, კარგად იცნობენ არისტოტელეს ანალიზს სტატუსის, დასაქმების, პროფესიული თუ კლასობრივი კუთვნილების სხვადასხვა პოლიტიკურ ინსტიტუტებთან მიმართების შესახებ, რომელსაც იგი გვთავაზობს ნაშრომში *პოლიტიკა* და *ეთიკა*. ხოლო მეორე მხრივ პოლიტიკურ სოციალიზაციასა და პოლიტიკურ სტრუქტურაში რეკრუტირების პროცესს შორის არსებულ კავშირებს. ამ მკვლევართათვის საერთოა მეტაფიზიკა და ონტოლოგია. მიუხედავად ამისა, ეს თავები ან რაიმე მსგავსი თანამედროვე მაგისტრანტებს სადისერტაციო თემად რომ წარმოედგინათ, შესაძლებელი იქნებოდა დალისა და ვერბასიელი "ჩამჭრელი" კითხვების გაგონება: `რა კონკრეტული შემთხვევების საფუძველზე მიხვედით ამგვარ განზოგადებამდე?~; `რა შეიძლება ითქვას აქ სკალის გამოყენებაზე?~ `რა გზით შეიძლება შეამოწმოთ ამგვარი ასოციაციების სიმტკიცე-მართებულობა?~; და მსგავსი კითხვები. არისტოტელემ წინ წამოსწია ვარაუდებისა და ჰიპოთეზების მთელი რიგი – პოლიტიკური სტაბილურობის საფუძვლებსა და ფაქტორებზე, რომლებიც მას ძირს უთხრიან, პოლიტიკური განვითარების შედეგებზე, განათლების სახეებზე და პოლიტიკურ სრულყოფაზე. ყოველივე ეს ემპირიულ კვლევასა და გულდასმით რაოდენობრივ ანალიზს მოითხოვს. არისტოტელეს მეთოდი, პირველ რიგში, მდგომარეობდა კონკრეტული ნიმუშების კლინიკურ შერჩევაში, მიზეზებისა და შედეგების შესახებ ჰიპოთეზების წარმოდგენაში, თუმცა მათი ურთიერთმიმართების სისტემური შემოწმების გარეშე.

პლატონისა და არისტოტელეს ბერძნული პოლიტიკური თეორია უნივერსალური და კერძო იდეების შერწყმაა. სივრცე, რომელზეც ეს ვრცელდებოდა, იყო ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების სამყარო. ფილოსოფიური განზოგადებები მიესადაგებოდა ბერძნებს და არა მთელ

კაცობრიობას. მოქალაქეები განირჩეოდნენ მონებისგან, უცხოელი რეზიდენტებისა და ბარბაროსებისგან. ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობებისა და ბერძნული და აღმოსავლური კულტურების ურთიერთშერწყმის შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სტოიციზმის ფილოსოფიური სკოლის მიერ წარმოდგენილმა ორმა ცნებამ. ეს იყო იდეები კაცობრიობის უნივერსალურობისა და ბუნებრივ კანონზე დამყარებული მსოფლიო წესრიგის შესახებ, რომელიც ძვ. წ. III საუკუნის უკანასკნელ მესამედში პირველად გამოთქვა სტოიკოსმა ფილოსოფოსმა ქრისიპოსმა. ქრისიპოსის მოსაზრებების ყველაზე მკაფიო ფორმულირებას ვხვდებით ძვ.წ. II საუკუნის სტოიკოსი ფილოსოფოსების, პანეტიოსისა (ძვ წ. 185-109) და პოლიბიოსის (ძვ.წ. 203-120), შრომებში, რომლებმაც, თავის მხრივ, ეს იდეები გვიანდელი რესპუბლიკის რომაულ ინტელექტუალურ ელიტას გადასცეს. თუკი პანეტიოსმა გვიანდელი სტოიციზმის ფილოსოფიური და ეთიკური ასპექტები განავითარა, პოლიბიოსმა პლატონისა და არისტოტელეს იდეები რომის ისტორიასა და რომაული ინსტიტუტების ინტერპრეტაციას მიუსადაგა.

პოლიბიოსი რომის თვალსაჩინო მიღწევებსა და ძალის ზრდას სწორედ მის ინსტიტუტებს უკავშირებდა. მან უფრო მკაფიო გახადა პლატონისა და არისტოტელეს იდეები, როდესაც შემოგვთავაზა მონარქიის, არისტოკრატიისა და დემოკრატიის სუფთა ფორმების დაკნინების და მათი ტირანიის, ოლიგარქიისა და ოხლოკრატიის შერეულ ფორმებში გადაგვარების მარტივი სოციოფსიქოლოგიური განმარტებები/ახსნები. პოლიბიოსის თანახმად, რომის სახელმწიფოს დამაარსებლებმა ცდებისა და შეცდომების გზით შეძლეს ხელახლა აღმოეჩინათ შერეული კონსტიტუციის ღირსებები _ მონარქიული, არისტოკრატიული და დემოკრატიული პრინციპების კომბინაცია, რომელიც აისახა კონსულატში, სენატში და სახალხო კრებაში სწორედ ამ ინსტიტუტების წყალობით გახდა შესაძლებელი მსოფლიოს დაპყრობა ნახევარი საუკუნის განმავლობაში და მათ, პოლიბიოსის თანახმად, საფუძველი ჩაუყარეს მსოფლიოს მომავალ სტაბილურ და სამართლიან მმართველობას რომაული კანონების მიხედვით.

სამი მეოთხედი საუკუნით გვიან, მაშინ, როდესაც რომაული რესპუბლიკის ინსტიტუტები უკვე ღრმა კრიზისს განიცდიდა, რომაელმა იურისტმა ციცერონმა (ძვ. წ. 106-43) `შერეული კონსტიტუციის~ თეორია რომის ისტორიას მიუსადაგა. ციცერონის შემოქმედების ეს ნაწილი იყო მოწოდება, დაბრუნებოდნენ ადრეული რომაული რესპუბლიკის სტრუქტურასა და კულტურას, რომელიც არსებობდა გრაკხუსების, მარიუსისა და სულას პოპულისტური და სამოქალაქო ომის ათწლეულებამდე. უფრო მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი კი ციცერონის მიერ ბუნებრივი კანონის სტოიცისტური დოქტრინის განვითარება იყო. ეს წარმოადგენდა რწმენას, რომ არსებობს საყოველთაო ბუნებრივი კანონი, რომელიც კოსმოსის ღვთაებრივი წესრიგიდან და კაცობრიობის რაციონალური და სოციალური ბუნებიდან გამომდინარეობს. სწორედ ციცერონმა ჩამოაყალიბა ბუნებრივი სამართლის კონცეფცია, რომელიც შევიდა რომაულ სამართალში და აქდან გადაეცა კათოლიკური ეკლესიის დოქტრინას და, განსაკუთრებით განმანათლებლობას და თანამედროვე მანიფესტაციებს.

ამგვარად, ძვ.წ. III საუკუნის მიწურულის ბერძნულ და მომდევნო საუკუნეების რომაულ ნააზრევში ჩამოყალიბებულია პოლიტიკური თეორიის ორი მნიშვნელოვანი თემა, რომლებიც შეითვისა პოლიტიკური მეცნიერების ისტორიამ საუკუნეთა განმავლობაში დღემდე: 1) როგორია პოლიტიის ინსტიტუციონალური ფორმები? 2) რა სტანდარტებს ვიყენებთ მათ შესაფასებლად? პასუხს პირველ კითხვაზე წარმოადგენს პლატონისა და არისტოტელეს წმინდა და შეურეველი ორგანიზაციული ფორმების ექვსდონიანი კლასიფიკაცია და ასევე შერეული კონსტიტუცია, როგორც მათი გადაგვარებისა და ციკლური განმეორების პრობლემის გადაწყვეტა. რაც შეეხება შეფასების საკითხს _ ლეგიტიმურობას და სამართლიანობას _ ეს იყო ბუნებითი სამართლის დოქტრინა. ეს იდეები რომს გადასცეს გვიანდელი პერიოდის სტოიკოსებმა (განსაკუთრებით, პანეტიოსმა და პოლიბიოსმა), ხოლო რომაელთა ნაშრომებიდან (როგორიცაა ციცერონი და სენეკა) _ კათოლიკურმა პოლიტიკურმა თეორიამ შეითვისა.

B. შერეული კონსტიტუციები და ბუნებითი სამართლის თეორია ისტორიაში

შერეული კონსტიტუციის, ისევე როგორც სამართლის თეორიამ ყველაზე მკაფიო ასახვა ჰპოვა შუა საუკუნეებში თომა აქვინელის (1225-1274) ნაშრომებში. თომა აქვინელი შერეულ კონსტიტუციას იგი უკავშირებდა სამართლიანობასა და სტაბილურობას ღვთიურ და ბუნებით სამართლალთან მათი შესაბამისობის გამო. შერეული კონსტიტუციების მაგალითებს შორის მას მოჰყავდა მოსეს, იეშუასა და მსაჯულების ისრაელის ღვთაებრივად ბოძებული პოლიტიკური წესრიგი, რომელსაც უხუცესები და ტომების ბელადები არეგულირებდნენ, ასევე _ რომის რესპუბლიკა აყვავების ხანაში, როდესაც ერთმანეთს შეერწყა სახალხო კრება, სენატი და კონსულატი. თომა აქვინელი ეთანხმებოდა არისტოტელეს არგუმენტებს მონარქიული, არისტოკრატიული და დემოკრატიული სუფთა ფორმების სისუსტის შესახებ და მათი მიდრეკილების თაობაზე, გარდაქმნილიყვნენ ტირანიად. მისი თვალსაზრისით, სუფთა ფორმების კომბინირება ქმედითი საშუალებაა ადამიანური სისუსტისა და კორუფციის წინააღმდეგ.[1]

გვიან შუა საუკუნეებსა და აღორძინების ეპოქაში ესა თუ ის მმართველობა ფასდებოდა შერეული მმართველობისა და ბუნებითი სამართლისადმი მისი დამოკიდებულების მიხედვით. თუკი თომა აქვინელისა და მისი მიმდევრებისათვის წარსულში შერეული მმართველობის იდეალს წარმოადგენდა მონარქიამდელი ისრაელი და რომი რესპუბლიკის ხანაში, იტალიელი თეორეტიკოსებისათვის გვიან შუა საუკუნეებსა და რენესანსის ეპოქაში სანიმუშო იყო ვენეცია, მისი მონარქი _ დოჯი, არისტოკრატიული სენატი და დემოკრატიული დიდი საბჭო. ვენეციის სტაბილურობა, კეთილდღეობა და ძალა შერეული სისტემის უპირატესობის დასტურად მიიჩნეოდა.

სამთავროებისა და რესპუბლიკევბის მრავალფეროვნებამ ამ ეპოქის ჩრდილოეთ იტალიაში, ერთმანეთთან მოქიშპე ეკლესიისა და იმპერიის ამბიციურმა პრეტენზიებმა, ომებმა, დაპყრობებმა, რევოლუცი-

[1] იხ. Blythe 1992: თავი 3.

ებმა, დიპლომატიურმა მოლაპარაკებებმა და ინსტიტუციურმა სიახლეებმა, რომლებშიც ისინი მუდმივად იყვნენ ჩართულნი, სტიმული მისცა პოლიტიკური თეორიის წარმომადგენელთ არაერთ თაობას, რომლებიც გაიაზრებდნენ ამ პოლიტიკურ გამოცდილებას და წერდნენ მის შესახებ.[2]

მათ დისკუსიებში ცენტრალური ადგილი ეკავა შერეული კონსტიტუციის იდეებს, როგორი სახითაც ეს ჩამოყალიბებული აქვთ არისტოტელესა და თომა აქვინელს. მე-16 საუკუნეში *რომის ისტორიის* თარგმნის შემდეგ, პოლიბიოსის ნააზრევმა დიდი გავლენა მოიპოვა, განსაკუთრებით ფლორენციასა და მაკიაველის (1469-1527) შემოქმედებაში. მე-15 საუკუნის მიწურულსა და მე-16 საუკუნის დასაწყისში მაკიაველი ჩაება პოლემიკაში ისტორიკოს გვიჩარდინისთან, რომლის დროსაც მთავარ ავტორიტეტებად დასახელებულნი იყვნენ არისტოტელე, პოლიბიოსი და თომა აქვინელი, მთავარ საკითხს კი წარმოადგენდა ის, თუ რომელი სახელმწიფოები გამოდგებოდნენ შერეული კონსტიტუციის საუკეთესო მაგალითებად. გვიჩარდინი, არისტოტელეზე დაყრდნობით, იხრებოდა ვენეციურ-სპარტანული არისტოკრატიული მოდელისაკენ, მაკიაველი კი ცდილობდა ხაზი გაესვა სახალხო ელემენტების უფრო დიდი როლისათვის და უფრო მეტად პოლიბიოსს ეყრდნობოდა.[3]

აღორძინების ეპოქის პოლიტიკური თეორიის რევოლუციურ წინსვლას ხელი შეუწყო მაკიაველის იდეებმა პოლიტიკური რეჟიმებისა და პოლიტიკური ლიდერების ლეგიტიმურობის შესახებ. სანამ გამოქვეყნდებოდა ნაშრომები *მთავარი* და *განსჯა*, მოაზროვნეები პოლიტიკურ რეჟიმებს დიქოტომიურად აჯგუფებდნენ როგორც სუფთასა და შერყვნილს, ნორმატიულს და არანორმატიულს პლატონისა და არისტოტელესეული გაგებით.[4] მაკიაველიმ, განიხილავდა რა პოლიტიკას იმ სახით, როგორითაც ის XV-XVI საუკუნეების იტალიაში არსებობდა, ლეგიტიმურობა მიანიჭა არანორმატიულ პოლიტიკას, რო-

---

[2] იხ. Blythe 1992: Pocock 1975; Skinner 1978.

[3] იხ. Blythe 1992: 292 ff.

[4] იხ. Skinner 1978: 131 ff.

გორც არსებობისათვის გარდაუვალს, აუცილებელს, რეალობის ნაწილს. მთავარი, რომელსაც არ შესწევს საეჭვო ხერხების გამოყენების უნარი სასიცოცხლო აუცილებლობის შემთხვევაში, ვერ შეძლებს სიკეთის ქმნას, როდესაც ამის შესაძლებლობა მიეცემა. მაკიაველიმ პოლიტიკური მეცნიერება "გაათავისუფლა" ღირებულებებისაგან, მისი სახელი ზნეობრივი ინდიფერენტულობისა და პოლიტიკური ცინიზმის სინონიმად იქცა. პრობლემები, რომლებიც წამოჭრა რეალობისადმი ამგვარმა სარისკო მიდგომამ, დღემდე საკამათოა პოლიტიკურ ფილოსოფიაში.

სუვერენიტეტის თეორიამ, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანი თემა იყო შუა საუკუნეების, აღორძინებისა და განმანათლებლობის ეპოქაში, სრულყოფილი სახე მიიღო ჟან ბოდენის (1529-1596) ნაშრომში. აბსოლუტიზმის, როგორც არასტაბილურობისა და უწესრიგობათა გადაწყვეტის მისეული დოქტრინა ჩამოყალიბდა შერეული კონსტიტუციის თეორიასთან კამათში. რეალისტური, ისტორიული მეთოდის გამოყენებით ის ამტკიცებდა, რომ რომისა და ვენეციის შერეული მმართველობის კლასიკური შემთხვევები სინამდვილეში წარმოადგენდა კონცენტრირებულ და ცენტრალიზებულ რეჟიმებს. მართლაც, ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი რეჟიმისას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალაუფლება კონცენტრირებული იყო ცენტრალური ხელისუფლების ხელში. სახელმწიფოთა მახასიათებლებზე გარემოსა და სოციალური პირობების გავლენის ჟან ბოდენისეული შეფასება მონტესკიეს ანთროპოლოგიური მიდგომის წინამორბედი ოყო.[5]

განმანათლებლობის ეპოქაში პოლიტიკური მეცნიერება მნიშვნელოვნად განვითარდა. მიუხედავად ამისა, ისეთი ავტორები, როგორებიც არიან ჰობსი, ლოკი, მონტესკიე, იუმი, მედისონი და ჰამილტონი, ყურადღებას აქცევდნენ იმავე პრობლემებს, რომლებიც აღელვებდათ პლატონს, არისტოტელეს, პოლიბიოსს, ციცერონს, თომა აქვინელს, მაკიაველისა და ბოდენს. ესენი იყო მმართველობის ფორმები და მათი სახესხვაობები, მათი შეფასების სტანდარტები. როდესაც განმანათ-

[5] იხ. Sabine and Thorson 1973: თავი 21.

ლებლობის ეპოქის ფილოსოფოსთა მიერ მიღწეული პროგრესის შესახებ ვსაუბრობთ, ვცდილობთ დავინახოთ წინსვლა მონაცემთა შეკრება-შეფასების და დასკვნების სტრუქტურის თვალსაზრისით.

პირველი სამეცნიერო პროექტი, რომელიც განახორციელა თომას ჰობსმა (1588-1679), იყო თუკიდიდეს *პელოპონესის ომის* თარგმანი. ეს იყო არეული და ტრაგიკული ეპოქის ისტორია, ისევე როგორც XVII საუკუნის ინგლისისა, თავისი სამოქალაქო ომით, მეფის მკვლელობით, დიქტატურითა და განდევნებით. ჰობსის შეხედულება ბუნებრივ მდგომარეობაზე, მიზეზებზე, რომლებიც აიძულებს ადამიანებს, დამორჩილდნენ მართველობას, პოლიტიკურ მოვალეობათა არსზე და მმართველობის სხვადასხვა ფორმების ლეგიტიმურობაზე ჩამოყალიბდა ათენის დაცემის, აგრეთვე XVII საუკუნის ინგლისში გამეფებული ძალადობისა და მორალური ქაოსის გააზრების საფუძველზე. გვიანდელ ნაშრომებში *De Cive* და, განსაკუთრებით, *ლევიათანში*, ჰობსი მივიდა დასკვნამდე, რომ საზოგადოებაში უნდა არსებობდეს სუვერენული ხელისუფლება იმისათვის, რათა იხსნას მისი წევრები ბუნებრივი მდგომარეობის ქაოსისა და ძალადობისგან. მოვალეობის შესრულებისა და მორჩილების სანაცვლოდ მოქალაქე იღებს უსაფრთხოებასა და დაცულობას. მმართველობის საუკეთესო ფორმა, ლოგიკურად გამომდინარე ამ რაციონალური და ერთმნიშვნელოვანი პირობებიდან, აბსოლუტური მონარქიაა, რომელიც შეზღუდულია მმართველის მოვალეობით, უზრუნველყოს საზოგადოების წევრების უსაფრთხოება და კეთილდღეობა. ჰობსი სავსებით ლოგიკურად მივიდა დასკვნამდე, რომ საუკეთესოა მმართველობის ისეთი ფორმა, რომელიც შეესაბამება საზოგადოების წევრების მატერიალურ პირობებსა და ადამიანურ მოთხოვნილებებს. ჰობსმა შეზღუდა ვარაუდები იმ არგუმენტების მოშველიებით, რასაც იგი ხედავდა და რასაც, მისი აზრით, ისტორია ადასტურებდა და ეს არგუმენტები მიიჩნია ადამიანური პირობების `მატერიალურ~ საბუთად. ამის საფუძველზე იგი ერთმნიშვნელოვან ლოგიკურ დასკვნამდე მივიდა.

დასკვნები მმართველობის წარმომავლობისა და ლეგიტიმურობის შესახებ, რომელიც წარმოადგინა ჯონ ლოკმა ნაშრომში *მმართველობის მეორე ტრაქტატი*, ეყრდნობა მოსაზრებებს, რომლებიც გან-

სხვავდება ჰობსის ნააზრევისგან. ადამიანები ნებას აძლევენ ხელისუფ-ლებას, უზრუნველყოს მათი კეთილდღეობა და თავისუფლება. ლოკის ბუნებრივი მდგომარეობა არ არის ისეთი პესიმისტური, როგორიც ჰობსისა. არსებობს, გარკვეული თვალსაზრისით, არასახარბიელო მო-მენტები და დანაკარგები და საკუთრივ ხელისუფლებისათვის. უფლე-ბამოსილებათა გადაცემა პირობით ხასიათს ატარებს და განისაზღვრე-ბა ხელისუფლების მიერ ამ შეზღუდული ფუნქციების განხორციელებ-ის ხარისხით. ბუნებრივი მდგომარეობიდან გამოსვლით ხალხი ერ-თობას გადასცემს უფლებას დააწესოს გონივრული კანონები, რათა უკ-ეთ იყოს დაცული მათი სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება. ჯონ ლოკის თეორიიდან სათავეს იღებს `ხელისუფლების დაყოფის~ იდეა. ერთობისათვის მიცემული ხელისუფლება იყოფა სამ კომპონენტად – საკანონმდებლოდ, აღმასრულებლად და ფედერაციულად. ამასთანა-ვე, ეს უკანასკნელი საკმაოდ ბუნდოვნადაა ჩამოყალიბებული და უკავ-შირდება ძირითადად საგარეო ურთიერთობებს. ლოკთან ისევე, რო-გორც ჰობსთან, პოლიტიკური მეცნიერების პროგრესი ეყრდნობა დას-კვნებს მმართველობის ბუნებისა და ფორმების შესახებ, ხელისუფლე-ბის, თავისუფლებებისა და მოვალეობების საფუძვლებს და ეს გამომ-დინარეობს სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური ვარაუდებიდან. ამ მკვლევართა მნიშვნელოვნებას, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ლოგიკური რაციონალიზმი და არა მონაცემთა შეკრება.

გადაჭარბებული იქნებოდა მონტესკიეს მონაცემების დახასიათ-ება როგორც შეკრებილისა და დაგროვებულისა, თუმცა რა თქმა უნდა, ის ამ მხრივ უფრო შორს მიდის, ვიდრე ჰობსი და ლოკი. აღიარებდა რა ბუნების კანონებს და სწორედ მათში ეძიებდა სახელმწიფოს შექმნის წანამძღვრებს, მონტესკიე ყურადღებას ამახვილებდა ადამიანთა პო-ლიტიკური გამოცდილების მრავალფეროვნებაზე და მიზეზობრიობის სიმრავლეზე. მონტესკიე მიემართება `სპარსეთში~, უბრუნდება რომა-ულ ხანას, ვენეციას, შეისწავლის მრავალ სხვა ევროპულ ქვეყანას, გან-საკუთრებით კი ინგლისს, რათა მათი ინსტიტუტები შეადაროს საფ-რანგეთისას. ის კომპარატივისტი და კაუზალური პლურალისტია. პო-ლიტიკური ცხოვრებისა და საჯარო პოლიტიკის მრავალსახეობათა ას-ახსნელად ითვალისწინებს კლიმატს, რელიგიას, ჩვეულებებს, ეკონომ-

იკას, ისტორიას და სხვა. მისი აზრით, მმართველობის საუკეთესო ფორმაა ხელისუფლების დაყოფა, და ამ დანაწევრებულ ხელისუფლებას შორის ნიუტონისეული ბალანსი, რაც, მისი თვალსაზრისით, ყველაზე უკეთ იძლევა თავისუფლების შენარჩუნებისა და კეთილდღეობის გაზრდის საშუალებას. *კანონთა გონის* XI წიგნში ის ხელისუფლების დანაწილების საუკეთესო ნიმუშად მიიჩნევს `უფლებათა ბილის~ მიღების შემდგომ ინგლისს.

მმართველობის მონტესკიესეულ კლასიფიკაციაში შედის რესპუბლიკები, მონარქიები და დესპოტიები. კატეგორია რესპუბლიკა, თავის მხრივ, იყოფა არისტოკრატიებად და დემოკრატიებად. ინგლისის მმართველობის მაგალითი მისთვის შერეული მმართველობის იდეალია, რომელშიც კომბინირებულია დემოკრატიული, არისტოკრატიული და მონარქიული ინსტიტუტები დიალექტურ-ჰარმონიული ბალანსით. მისი პოლიტიკური თეორია განმარტებითი, სისტემურ-ფუნქციური და პირობით-პროცესუალური თეორიაა.

ამ თეორიამ დიდი გავლენა მოახდინა ამერიკის კონსტიტუციის ფუძემდებლებზე. გამორიცხული არაა, რომ სწორედ მასზე ფიქრობდა ჰამილტონი, როდესაც წერდა *ფედერალისტ 9*-ში: `პოლიტიკის მეცნიერება ... დიდად დაიხვეწა. ამჟამად კარგადაა ცნობილი სხვადასხვა პრინციპების მოქმედება, რომელთა შესახებაც ძველად არაფერი იცოდნენ, ან იცოდნენ უაღრესად ცოტა" და *ფედერალისტ 31*-ში: @"თუმცა, რა თქმა უნდა, უსამართლობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ მთლიანობაში მორალური და პოლიტიკური ცოდნა უტყუარობის იმავე დონეზე დგას, როგორზეც მათემატიკა. და მაინც, ისინი ჩვენ უფრო სერიოზულად უნდა აღვიქვათ, ვიდრე შეიძლება ვიყოთ ამის მიმართ განწყობილნი~ (Hamilton 1937 edn.: 48, 189). მედისონსა და ჰამილტონს სრული საფუძველი ჰქონდათ, საკუთარი თავი კარგ პოლიტიკის მკვლევარებად მიეჩნიათ, ვინაიდან მათ შეძლეს მონტესკიეს, ლოკისა და სხვა ევროპელი ფილოსოფოსების თეორიების შემოწმება ცამეტი კოლონიისა და შეერთებული შტატების კონფედერაციული ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში. ისინი ინჟინრების მსგავსად მოქმედებდნენ პოლიტიკის კანონების გამოყენებისას, რომლებიც მიღებული იყო ემპირიული და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე,

კონკრეტული სიტუაციების შესწავლის გზით. აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების დაყოფით (რისი აუცილებლობის შესახებაც მათ შეიტყვეს მონტესკიესაგან) და მმართველობის შერეული ტიპის შექმნით შეზღუდვებისა და გაწონასწორების საფუძველზე (რის შესახებაც მათ ისწავლეს ცამეტი კოლონიის პრაქტიკული გამოცდილებიდან), მათ შეძლეს პოლიტიკის გამოხატვა განტოლების მსგავსი ფორმულით: `ხელისუფლებათა დანაწევრება + შეზღუდვები და გაწონასწორება = თავისუფლებას~.

გ. XIX საუკუნე

XVII და XVIII საუკუნეებში განმანათლებლობის ფილოსოფოსები წინასწარმეტყველებდნენ კაცობრიობის მატერიალური, პოლიტიკური და მორალური პირობების გაუმჯობესებას ცოდნის დაგროვების შედეგად. XIX და XX საუკუნეებში მკვლევრები თუ მოაზროვნეები, რომლებიც ამუშავებდნენ კაცობრიობის პროგრესის და არსებობის პირობების გაუმჯობესების პრობლემებს, ვარაუდობდნენ სხვადასხვა ტრაექტორიასა და ამ პროცესის შედეგების მრავალსახეობას. XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდნენ დიდი ისტორიცისტები (მათთვის ისტორიის დეტერმინისტებიც შეიძლებოდა გვეწოდებინა) _ ჰეგელი (1770-1831), კონტი (1798-1857) და მარქსი (1818-1883), რომლებიც, განმანათლებლობის ტრადიციების გავლენით, განიხილავდნენ ისტორიას, როგორც სწორხაზოვან განვითარებას თავისუფლებისაკენ და რაციონალური მმართველობისაკენ. ჰეგელის თანახმად, პრუსიის ბიუროკრატიული მონარქია გონიერებისა და თავისუფლების მაგალითია. კონტის მიხედვით, მეცნიერება არღვევს თეოლოგიისა და მეტაფიზიკის ბორკილებს და კაცობრიობას საშუალება ეძლევა რაციონალურად გააკონტროლოს ბუნება და სოციალური ინსტიტუტები. მარქსის თანახმად, კაპიტალიზმი ჩაენაცვლა ფეოდალიზმს და ის, თავის მხრივ, ადგილს დაუთმობს ჯერ პროლეტარულ სოციალიზმს, შემდეგ კი ჭეშმარიტად თავისუფალ, თანასწორუფლებიან საზოგადოებას.

ჰეგელისეული დიალექტიკური ხედვისას, რომელიც განიხილავს ისტორიას, როგორც ურთიერთდაპირისპირებულთა ბრძოლასა

და ერთიანობას, ამოსავალია განმანათლებლობის კატეგორიები. ჰეგელი პოსტნაპოლეონისეულ ათწლეულებში რაციონალიზებული და მოდერნიზებული პრუსიის ბიუროკრატიულ მონარქიას მიიჩნევდა გარდაუვალი სინთეზის მაგალითად. მარქსის ნააზრევში ჰეგელის დიალექტიკა იქცა კლასობრივი ბრძოლის პრინციპად, რომელიც საბოლოო ჯამში ადამიანთა საზოგადოების გარდაქმნას გამოიწვევდა. მარქსის თანახმად, ისტორიული პროცესის ბუნება იმგვარია, რომ მხოლოდ სოციალური მეცნიერებით შეიძლება აღმოაჩინო და ასევე გამოიყენო პოლიტიკური ქმედება. მარქსიზმში მეცნიერება საზოგადოების შესახებ გადაიქცა ყოვლისმომცველ, მართებულ, ეკონომოკა-იდეოლოგია-პოლიტიკა სქემით მართულად. საზოგადოების ამ ყოვლისშემძლე თეორიით შეიარაღებულ ავანგარდს უნდა შეექმნა ახალი, წესრიგის, სამართლიანობისა და კეთილდღეობის სამყარო.

ოგიუსტ კონტმა, რომელიც სენ-სიმონთან (1760-1825) ერთად სათავეში უდგას ფილოსოფიურ პოზიტივიზმს, საფუძველი ჩაუყარა `სოციოლოგიის~ ახალ მეცნიერებას თავის ექვსტომეულში *პოზიტიური ფილოსოფიის კურსი* (Koenig 1968). ის ამტკიცებდა, რომ ყველა მეცნიერებამ გაიარა განვითარების ორი სტადია – თავიდან თეოლოგიური, შემდეგ მეტაფიზიკური – სანამ მესამე სტადიაზე გახდებოდა მეცნიერული, ან პოზიტივისტური. თავდაპირველად, კონტის აზრით, ეს სამი სტადია გაიარა ასტრონომიამ, შემდეგ იგივე გზა გაიარა ფიზიკამ, ქიმიამ და ფიზიოლოგიამ. საბოლოოდ, სოციალური ფიზიკა (სოციალური მეცნიერებები ფსიქოლოგიის ჩათვლით), როგორც მეცნიერება, სიმწიფის პროცესში შედის. კონტი ამ ახალ სამეცნიერო სოციოლოგიას რეფორმირებული საზოგადოების იდეურ საფუძვლად მიიჩნევდა.

ამ გლობალურ, აბსტრაქტულ, მონისტურ თეორიებს რეაქციის სახით მოჰყვა ემპირიზმის ტალღა. ამ რეაქციის შედეგად გამოჩნდა დიდი რაოდენობით ნაშრომები, რომლებიც დესკრიპტულად, ფორმალურ-ლეგალური სახით შეისწავლიდნენ პოლიტიკურ ინსტიტუტებს და რამდენიმე მონუმენტური, ფუნდამენტური, აღწერილობითი პოლიტიკური ეთნოგრაფია, როგორიცაა თეოდორ ვულსის *პოლიტიკური მეცნიერება; ანუ სახელმწიფოს თეორიული და პრაქტიკული გამოკვლევა* (Woolsey 1878); ვილჰელმ როშერის *პოლიტიკა: ისტორიუ-*

ლი მოძღვრება მონარქიის, არისტოკრატიისა და დემოკრატიის ბუნების შესახებ (Roscher 1892); და ვუდრო ვილსონის *სახელმწიფო: ისტორიული და პრაქტიკული პოლიტიკის ელემენტები* (Wilson 1889/1918). ეს ნაშრომები ღრმააზროვანი და გულმოდგინედ შედგენილი კლასიფიკაციის მაგალითებია, რისთვისაც გამოყენებული იყო კლასიფიკაციის პლატონურ-არისტოტელესეული სისტემის ზოგიერთი ვარიაცია.

ემპირიული მიდგომის თვალსაზრისით და პლურალისტული ახსნის მცდელობით ისტორიზმის მიმდევართა ტრადიციებს აგრძელებდა მოაზროვნეთა ჯგუფი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რომლებისთვისაც შეიძლება `ევოლუციონისტები~ გვეწოდებინა. მათ მრავალგვარი გავლენა მოახდინეს თანამედროვე სოციოლოგიაზე. `ევოლუციონისტთა~ რიცხვს მიეკუთვნებიან ჰერბერტ სპენსერი (1820-1903), სერ ჰენრი სამნერ მეინი (1822-1888) და ფერდინანდ ტოენისი (1855-1936). სპენსერი (Spencer 1874/1965), ადრეული პოსტდარვინისეული სოციალური ევოლუციის მიმდევარი, თავს არიდებდა ერთმნიშვნელოვან დასკვნებს. ის ცდილობდა, გაეთვალისწინებინა როგორც პოლიტიკური და კულტურული განსხვავებები, ისე ზოგადად სრულყოფის პროცესი. სპენსერი პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას და ცენტრალიზაციას განმარტავდა გარემოს ფიზიკური მახასიათებლების თანახმად, მაგალითად, მთიანი მხარე WS დაბლობი. ისტორიული მაგალითების მოშველიებით ის აყალიბებდა არგუმენტს იმის თაობაზე, რომ დემოკრატიზაცია სოციო-ეკონომიკური ცვლილებების, რომელსაც ურბანულ კონცენტრაციამდე მივყავართ და მწარმოებელთა რიცხვის ზრდის და კომერციის Gგავრცელებით გამოწვეული ინტერესთა გამრავალფეროვნების შედეგია.

XIX საუკუნის დასასრულის ავტორებისათვის, რომლებიც წერდნენ ისტორიული პროცესის შესახებ, დამახასიათებელი იყო ერთგვარი დუალიზმი. მეინი (Maine 1861/1963) განასხვავებდა ძველ კანონებს ახალი კანონებისგან ამორფული სტატუსური ურთიერთობებიდან კონკრეტულ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე გადასვლის თვალსაზრისით. ტიონისმა (Tönnies 1887/1957) შემოიტანა განსხვავება Gemeinschaft-Gesellschaft (თემი-საზოგადოება). საუკუნეთა მიჯნაზე

ვებერმა (1864-1920) და დიურკემმა (1858-1917) დაუპირისპირეს თანამედროვე რაციონალიზმი ტრადიციონალიზმს (Weber 1922/1978: vol. I, pp. 24ff.) და ორგანული სოლიდარობა – მექანიკურს (Durkheim 1960). "განვითარებისა" და "მოდერნიზაციის" თემის დამუშავება გრძელდებოდა მთელი XX საუკუნის მანძილზე და დღესაც გრძელდება. მკვლევრები ცდილობდნენ, გაერკვიათ, შეეფასებინათ, გაეზომათ და განემარტათ სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური "მოდერნიზაცია", რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

XIX საუკუნეში ზოგადად მიღებული იყო მსჯელობა პოლიტიკისა და საზოგადოების როგორც მეცნიერების შესწავლაზე, რამდენადაც პოლიტიკის შესახებ ცოდნა აღიწერებოდა როგორც პოლიტიკური ინსტიტუტების შესახებ კანონზომიერი ვარაუდები და მონაცემებსა და დასკვნებზე დაფუძნებული მოვლენები. კოლინიმ, ვინჩმა და ბაროუმ დეტალურად და ღრმად დაამუშავეს ეს თემა წიგნში *ეს კეთილშობილი პოლიტიკის მეცნიერება* (1983). მსგავსად თავიანთი წინამორბედებისა, XIX საუკუნის ისტორიკოსები და პუბლიცისტები `გაკვეთილებს~ ეძიებდნენ ისტორიაში, მაგრამ ბევრად ართულებდნენ ამ ამოცანას. ეხმიანებოდა რა თავის `მეთოდს~ ნაშრომში *დემოკრატია ამერიკაში,* ტოკვილი (1805-59) წშენიშნავდა: `მიუხედავად იმისა, რომ ჩემს წიგნში იშვიათად ვლაპარაკობ საფრანგეთის შესახებ, ერთ გვერდსაც კი ვერ დავწერდი, ეს ქვეყანა სულ თვალწინ რომ არ მქონოდა~; და, უფრო ზოგადად, შედარებითი მეთოდის ღირსებებზე საუბრისას, აღნიშნა: `გონებამ, შედარებების გარეშე არ იცის, თუ რა უნდა მოიმოქმედოს~ (Tocqueville 1985: 59, 191).

კოლინიმ, ვინჩმა და ბაროუმ აღნიშნეს, რომ XIX საუკუნის დებულებები პოლიტიკური ფენომენის ბუნებისა და განმარტების შესახებ ეფუძნებოდა უფრო მეტად ისტორიულ ინდუქციებს, ვიდრე წარმოდგენებს ადამიანის ბუნების შესახებ. ნაწილობრივ, ამგვარი მდგომარეობა აიხსნებოდა თანამედროვე და ისტორიული საზოგადოებების შესახებ ცოდნის უბრალო ზრდით. იმპერიალიზმმა და კოლონიალიზმმა ისეთი დიდი და კომპლექსური კულტურები, როგორიცაა ინდოეთი, ასევე მცირე ზომის და პრიმიტიული საზოგადოებები, როგორიცაა ამერიკელი ინდიელები და აფრიკული კულტურები, მოაქცია ევროპელი

მეცნიერებისა და ინტელექტუალების სამეცნიერო თვალთახედვაში. მსოფლიოს ეგზოტიკური მხარეები გახდნენ შესწავლის ობიექტნი, რაც უფრო მეტ სიფრთხილეს და ძალისხმევას მოითხოვდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისას, ბიდრე მაკიაველისა და მონტესკიეს შემთხვევაში. ოქსფორდსა და კემბრიჯში, XIX საუკუნის მიწურულს ე.ა. ფრიმენის (Freeman 1874), ფრედერიკ პოლოკისა (Pollock 1890) და ჯონ სილის (Seeley 1896) მეთაურობით შედარებითი ისტორია უკვე დარწმუნებით მიიჩნეოდა პოლიტიკის ჭეშმარიტად მეცნიერული შესწავლის საფუძვლად. ეს შემოთავაზებული იქნა ორ ნაშრომის სახით, კემბრიჯში 1897 წელს _ ერთი შეეხებოდა კომპარატიულ, ანუ ინდუქციურ პოლიტიკურ მეცნიერებას, მეორე _ ანალიტიკურ და დედუქციურ პოლიტიკას (Collini *et al.*: 341ff.). ჯერ კიდევ 1843 წელს, ჯონ სტიუარტ მილმა (1806-1873) თავის ნაშრომში *სისტემის ლოგიკა* (Mill 1843/1961) აღიარა, რომ შედარებითი მეთოდი სოციალურ მეცნიერებებში, გარკვეული თვალსაზრისით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ექსპერიმენტული მეთოდის ანალოგი იყო. შეიძლება ითქვას, რომ საუკუნენახევრის წინ მილმა განჭვრიტა პრჟევორსკისა და ტიუნის "მსგავს სისტემათა სტრატეგია" (Przeworski and Teune 1970).

ჯონ სტიუარტ მილისთვის, ტოკვილისათვის, ოსტროგორსკისთვის, ვილსონისა და მიხელსისათვის დემოკრატია, როგორც სხვა რეჟიმების ალტერნატივა, ყურადღების ცენტრში ექცევა. თითოეული საკუთარი გზით აგრძელებს დებატებს `შერეული მმართველობის~ შესახებ. მილს სურს, რომ განათლებულმა, ინფორმირებულმა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე მმართველობამ ითამაშოს გადამწყვეტი როლი დემოკრატიაში, რათა თავიდან იქნას აცილებული კორუფცია და შეარბილოს მასებში ჩაბუდებული დამანგრეველი პოტენციალი. ტოკვილმა ამერიკულ იურიდიულ პროფესიაში დაინახა არისტოკრატიზმის ნაზავი, რომელიც საშუალებას იძლევა ზომიერი გახადოს დემოკრატიული მმართველობის "გამათანაბრებელი" ტენდენციები. ოსტროგორსკი (Ostrogorski 1964: ტ.II, დასკვნა) და მიხელსი (Michels 1949) ხედავდნენ ფატალურ ნაკლოვანებებს დემოკრატიაში და გარდაუვალ ოლიგარქიას, რაც შედეგად მოჰყვებოდა მასობრივი პოლიტიკური პარტიების ბიუროკრატიზაციას.

XIX საუკუნის ტენდენციებმა სწრაფად დაუთმო ადგილი ჩვენს ხედვას, რომლის თანახმადაც, ისეთი პოლიტიკური ფენომენების შესწავლისას, როგორიცაა ხელისუფლების მახასიათებლები და ლეგიტიმურობა, უმთავრესია სიზუსტე და ლოგიკური თანმიმდევრულობა.

XX საუკუნის პირველ ათწლეულებში ევროპული პოლიტიკური თეორიისა და ამერიკული პოლიტიკური მეცნიერების დამაკავშირებელი გახდა `პლურალიზმის~ ცნება, ვარიაცია `შერეული მმართველობის~ თემაზე. სახელმწიფო სუვერენიტეტის კონცეფცია, რომელიც უკავშირდებოდა აბსოლუტური მონარქიის იდეოლოგიას, სადავოდ იქცა მემარჯვენე და მემარცხენე `პლურალისტებისათვის~ XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში. ოტო გირკე (Gierke 1868) გერმანიაში და ლეონ დიუგი (Duguit 1917) საფრანგეთში ეჭვქვეშ აყენებდნენ ცენტრალიზებული სახელმწიფოს ერთიან ხელისუფლებას. კონსერვატული მიმართულების პოლიტიკური თეორეტიკოსები, მაგალითად, ფიგისი (Figgis 1896), იცავდნენ ეკლესიებისა და თემების ავტონომიურობას; მემარცხენე ფრთის თეორეტიკოსები, მაგალითად, ჰაროლდ ლასკი (Laski 1919), ასეთივე მოთხოვნას აყენებდნენ პროფესიული ჯგუფებისა და პროფკავშირების მიმართ.

XIX საუკუნის მიწურულს, მარქსმა, ფროიდმა და დიდმა სოციოლოგმა თეორეტიკოსებმა პარეტომ, დიურქჰეიმმა და ვებერმა, ასევე სუვერენიტეტისა და პლურალიზმის თაობაზე გამართულმა პოლემიკამ შექმნა XX საუკუნის პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლები.

დ. პოლიტიკური მეცნიერების პროფესიონალიზაცია XX საუკუნეში

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა XX საუკუნის პირველ ათწლეულებში, შეერთებულ შტატებში ინდუსტრიის სწრაფმა ზრდამ და კონცენტრაციამ, დიდი ქალაქების გაფართოებამ, რომლებიც მნიშვნელოვანწილად დასახლებული იყო სოფლიდან და უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული იმიგრანტებით, კორუფციისათვის ხელსაყრელი გარემო შექმნა. პოლიტიკურ საქმოსნებს საკმარისი რესურსები ჰქონდათ იმ

მეტწილად გაუთვითცნობიერებული ამომრჩევლების ორგანიზებისა და დისციპლინირებისთვის, რომლებითაც სავსე იყო ისეთი ურბანული ცენტრები, როგორიცაა ნიუ-იორკი, ბოსტონი, ფილადელფია, ჩიკაგო, სენტ-ლუისი, კანზას-სიტი და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ სიტყვები `ბოსი~ და `მანქანა~ და ნახტომისებური რეფორმატორული მოძრაობები ყველაზე თვალშისაცემ ამერიკულ პოლიტიკურ ფენომენებს წარმოადგენდნენ XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში. რეფორმატორულმა მოძრაობებმა, შთაგონებულმა ეფექტურობისა და მთლიანობის იდეოლოგიით, რომელსაც მხარს უჭერდა საქალაქო ბიზნეს და პროფესიული ელიტა, მიიზიდა ნიჭიერი მედიაჟურნალისტები და აკადემიური საზოგადოება. პოლიტიკოსთა მოსყიდვა ბიზნესკორპორაციების მიერ, რომლებიც ცდილობდნენ ხელსაყრელი კონტრაქტების მოპოვებას, პრივილეგიების მიღწევას და სახელმწიფოს შეზღუდვებისგან დაცვის უზრუნველყოფას, გახდა "მამხილებელი" ჟურნალისტური პუბლიკაციების თემა, რომელმაც სააშკარაოზე გამოიტანა პოლიტიკური ინფრასტრუქტურა და პროცესი _ `ზეწოლის ჯგუფები~ და `ლობი~, რომლებიც ღრმად აღწევდნენ და კორუფციულს ხდიდნენ ადგილობრივ, შტატებში და ნაციონალურ დონეზე მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

ომთაშორის წლებში ამერიკელი პოლიტიკური მეცნიერები ამ პოლიტიკური ინფრასტრუქტურიდან და მისი თანმხლები მამხილებელი ლიტერატურიდან მომდინარე გამოწვევების წინაშე დადგნენ. . სპეციალისტებმა დაიწყეს `ზეწოლის ჯგუფებისა~ და `ლობის~ მოღვაწეობის სერიოზული მონოგრაფიული შესწავლა. პიტერ ოდერგარდმა (Odegard 1928) დაწერა ნაშრომი ამერიკის ანტისალონური ლიგის შესახებ, პენდლიტონ ჰერინგმა (Herring 1929) _ ზეწოლის ჯგუფებზე და კონგრესზე, ელმერ შატსნაიდერმა (Schattschneider 1935) _ პოლიტიკისა და ტარიფების შესახებ, ლუიზ რაზერფორდმა (Rutherford 1937) _ ამერიკის ბარების ასოციაციაზე, ოლივერ გარსომ (Garceau 1941) _ ამერიკის სამედიცინო ასოციაციაზე. არაერთი სხვა ავტორის დასახელებაც შეიძლება. ამ ნაშრომებმა თავისი კვალი დატოვეს ომთაშორისი წლების პოლიტიკურ მეცნიერებაში. რეალიზმი და ემპირიზმი პირველი მკვლევრებისა, რომლებმაც შეისწავლეს ის, რასაც `ჩრდილოვან~ ან

`არაფორმალურ~ მთავრობას უწოდებენ, ეყრდნობა წინა თაობის ამერიკელი პოლიტიკური თეორეტიკოსების, მათ შორის, ფრანკ Gგუდნოუსა (Goodnow 1900) და ვუდრო ვილსონის (Wilson 1887), არაერთ იდეას.

1. ჩიკაგოს სკოლა

ამგვარად, XX საუკუნის პირველ ათწლეულებში პოლიტიკის `მეცნიერული~ შესწავლის ცნებამ ღრმა შინაარსი შეიძინა. ევროპელმა მეცნიერებმა, _ კონტმა, მილმა, ტოკვილმა, მარქსმა, სპენსერმა, ვებერმა, დიურკეიმმა, პარეტომ, მიხელსმა, მოსკამ, ოსტროგორსკიმ, ბრაისმა და სხვებმა, საფუძველი ჩაუყარეს (ან საფუძველს უყრიდნენ) პოლიტიკური სოციოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ფსიქოლოგიის განვითარებას და, ამგვარად, პოლიტიკის შესწავლას თვითშემეცნებითი მიმართულება შესძინეს. სამთავრობო და პოლიტიკური პროცესების ემპირიულმა შესწავლამ გზა გაიკვლია ამერიკულ უნივერსიტეტებში. თუმცა აღნიშნულ პერიოდში პოლიტიკის შესწავლა ამერიკის უნივერსიტეტებში, დიდწილად კვლავ იურიდიულ, ფილოსოფიურ და ისტორიულ მეთოდოლოგიას ეფუძნებოდა. კონკრეტული ემპირიული გამოკვლევებით იმის ჩვენება, რომ პოლიტიკური ცოდნის ჭეშმარიტი განვითარება შესაძლებელია ინტერდისციპლინური კვლევების სტრატეგიის ორგანიზებული მხარდაჭერითა და რაოდენობრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით, ჩიკაგოს პოლიტიკური მეცნიერების სკოლის (1920-40-იანი წლები) დამსახურებაა. სხვა ავტორები საუბრობდნენ იმავე ენით, რომლითაც მერიამი ნაშრომში *პოლიტიკის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა* (Merriam 1931b. იხ., მაგალითად, Catlin 1964). სკოლამ, რომელიც მერიამმა დააფუძნა XX საუკუნის 20-იან წლებში და რომელსაც ნაწილობრივ მისი მოწაფეები წარმოადგენდნენ, დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ემპირიული კვლევების სიზუსტისადმი მოთხოვნის გაზრდის, პოლიტიკური პრობლემების შესწავლისას დასკვნების დამაჯერებლობის და ინსტიტუციური ინოვაციის თვალსაზრისით.

მერიამს პოლიტიკური მეცნიერების ნოვატორად ჩამოყალიბებაში ხელი შეუწყო ქალაქ ჩიკაგოს დინამიკურმა განვითარებამ, აქ დაგ-

როვილმა დიდმა მატერიალურმა რესურსებმა, აშკარა სწრაფვამ კულ-ტურისაკენ XX საუკუნის პირველ ათწლეულებში. ყოველივე ამან ერ-თმანეთს დაუკავშირა მისი აკადემიური საქმიანობა და პოლიტიკური კარიერა. მერიამმა, რომელიც დამარცხდა 1919 წელს ჩიკაგოს მერის არ-ჩევნებში, დაკარგა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის დაკავების ილუზია. ის ვეღარ იოცნებებდა `შუა დასავლეთის ვუდრო ვილსონად გადაქცევაზე~ (Karl 1974: თავი 4). იმავდროულად მერიამს არ შეეძლო, მთლიანად აკადემიური კარიერით შემოფარგლულიყო. მუნიციპა-ლურ პოლიტიკაში გატარებულმა წლებმა და ასევე ომის პერიოდში შე-ძენილმა გამოცდილებამ საგარეო საქმეებისა თუ პროპაგანდის სფერო-ში გაამძაფრა პოლიტიკური კვლევების `ახალი ასპექტების~ მისეული აღქმა. სულ მალე იტალიიდან ჩიკაგოს უნივერსიტეტში დაბრუნების შემდეგ, სადაც მერიამს "საზოგადოებრივი ინფორმაციის" პოსტი ეკავა, მან გამოსცა *ახალი ასპექტების* (New Aspects, 1931*b*) დეკლარაცია და ჩიკაგოს დეპარტამენტში წამოიწყო სხვადასხვა კვლევითი პროგრამე-ბი, რომელთა შესახებაც ლაპარაკობდნენ, როგორც განსხვავებულ `სკოლაზე~. ის ინსტიტუციური ნოვატორი იყო: თავდაპირველად შექ-მნა სოციალური მეცნიერების კვლევითი კომიტეტი ჩიკაგოს უნივერ-სიტეტში, რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენდა ყველაზე იმედის-მომცემი კვლევითი ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა ჩიკაგოს უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერების ფაკულტეტზე; შემდეგ მე-რიამი გახდა ნაციონალურ დონეზე სოციალური მეცნიერების კვლევი-თი საბჭოს შექმნის ინიციატორი.

ჩიკაგოს უნივერსიტეტში პირველ კვლევით პროგრამას უძღვე-ბოდა ჰაროლდ გოსნელი, რომელმაც 1921 წელს მერიამის ხელმძღვანე-ლობით დოქტორის ხარისხი მოიპოვა და 1923 წლიდან ასისტენტ-პროფესორად მოღვაწეობდა. გოსნელი და მერიამი თანამშრომლობ-დნენ 1923 წლის მერის არჩევნებზე ხმის მიცემის პროცესში ექვსი ათა-სი ჩიკაგოელის განწყობის შესწავლისას (Merriam and Gosnell 1924). მა-თი შერჩევა განხორციელდა `ამორჩევის ალბათობის~ შემოტანამდე `საკონტროლო კვოტის~ საშუალებით, რომელმაც შესაძლებელი გახა-და ჩიკაგოს მოსახლეობის ძირითადი ჯგუფების დემოგრაფიული მა-ხასიათებლების შესწავლა. იმ დროს საკონტროლო კვოტის გამოყენება,

რომლისადმი ნდობაც 1948 წელს ტრუმენ-დიუის არჩევნების დროს შეირყა, დიდი რაოდენობით მოსახლეობის გამოკითხვისას `უმაღლესი ოსტატობის~ გამოვლენად ითვლებოდა. გამოკითხვებს ატარებდნენ მერიამისა და გოსნელის აღზრდილი ჩიკაგოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. გოსნელმა გააგრძელა კვლევა ამ მიმართულებით და პოლიტიკური მეცნიერების ისტორიაში ამ სახის პირველი ექსპერიმენტი განხორციელდა. მან გაარკვია მიზანმიმართული აგიტაციის ზეგავლენა კენჭისყრის შედეგებზე, რათა გამოევლინა განსხვავება ნაციონალურ და ადგილობრივ არჩევნებს შორის 1924 და 1925 წლებში. გოსნელის მიერ გამოყენებული ექსპერიმენტული ტექნიკა (Gossnel 1927) საკმაოდ მკაცრი იყო: ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფების წევრები საგანგებოდ შეირჩეოდნენ, გამოკითხულებისათვის გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის სტიმულირება და შედეგების ანალიზი ხდებოდა იმ დროს არსებული ყველაზე დახვეწილი სტატისტიკური ტექნიკის გამოყენებით. გოსნელმა ამგვარივე კვლევები გააგრძელა დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიასა და შვეიცარიაში. პოლიტიკის მკვლევრებს მანამდე მსგავსი არაფერი გაუკეთებიათ.

ჰაროლდ ლასველმა (1902-1978), ახალგაზრდა ნიჭიერმა მკვლევარმა პატარა ქალაქ ილინოისიდან, ბრწყინვალედ მიუსადაგა მერიამის კვლევითი მეთოდი პოლიტიკურ ფსიქოლოგიას. წარმატებები, რომლებსაც მან მიაღწია 20_30 წლის ასაკში, მართლაც შთამბეჭდავი იყო. 1927-1939 წლებში მან გამოსცა ექვსი წიგნი, რომელთაგან თითოეული სიახლეს წარმოადგენდა და გზას უხსნიდა პოლიტიკის ახალი ასპექტებისა და განზომილებების შესწავლას. პირველში, *პროპაგანდის ტექნიკა მსოფლიო ომში* (1927), ლასველმა საფუძველი ჩაუყარა პოლიტიკური კომუნიკაციების შესწავლას (ამას 1935 წელს მოჰყვა დიდი მოცულობის ანოტირებული ბიბლიოგრაფია _ *პროპაგანდა და საქმიანობა ხელშეწყობისათვის* /*Propaganda and Promotional Activities*), რამაც საფუძველი ჩაუყარა სამეცნიერო ლიტერატურის ახალ ტიპს კომუნიკაციების, პროპაგანდისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების შესახებ. მეორე წიგნში, *ფსიქოპათოლოგია და პოლიტიკა* P(1930), გამოკვლეულია "პოლიტიკის სიღრმისეული ფსიქოლოგია", პოლიტიკოსთა, მათ შორის - ფსიქიკური პრობლემების მქონეთა, ისტორიების ან-

ალიზის საფუძველზე. მესამე წიგნში, *მსოფლიო პოლიტიკა და პიროვნული დაუცველობა* (1935), განხილულია ინდივიდუალური პოლიტიკური ქცევის ასპექტები და ფსიქოლოგიური საფუძვლები, პოლიტიკური რეჟიმების სხვადასხვა სახე და პოლიტიკური პროცესები. მეოთხე სახელგანთქმული წიგნი, *პოლიტიკა: ვინ რას იღებს, როდის* და *როგორ* (1936), წარმოადგენს ლასველის ზოგადი პოლიტიკური თეორიის მოკლე გადმოცემას. აქ მთავარი ყურადღება ექცევა ელიტების ურთიერთქმედებას, რომლებიც ერთმანეთს ექიშპებიან ისეთი ღირებულებებისათვის, როგორიცაა `შემოსავალი, საზოგადოებრივი აღიარება და უსაფრთხოება~. 1939 წელს ლასველმა გამოსცა ნაშრომი *მსოფლიო რევოლუციური პროპაგანდა: ჩიკაგოს გამოკვლევა, რომელშიც*, ბლუმენსტოკთან ერთად, გამოკვლეული აქვს მსოფლიო დეპრესიის ზეგავლენა ჩიკაგოს უმუშევრების პოლიტიკურ მოძრაობაზე. აქ ყურადღება გამახვილებულია მაკრო და მიკრო ფაქტორების ურთიერთქმედებაზე, პოლიტიკაში ადგილობრივ, ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე. ამ წლების განმავლობაში ლასველმა ასევე გამოაქვეყნა ოცამდე სტატია პერიოდულ გამოცემებში *The American Journal of Psychiatry; The Journal of Abnormal Psychology; Scientific Monograph,; The American Journal of Sociology; The Psychoanalytical Review* და სხვა. ლასველი იყო ფსიქოლოგიური და მენტალურ-ემოციური პროცესების ურთიერთქმედების პირველი მკვლევარი, რომელმაც გამოიყენა ლაბორატორიული მეთოდები. ამავე პერიოდში მან გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია, რომლებშიც წარმოადგინა მის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები და გამოავლინა ურთიერთკავშირი ემოციურ მდგომარეობას, ვერბალურ შინაარსსა და ფიზიოლოგიურ პირობებს შორის. ამ მიზნით, მან გააანალიზა ინტერვიუს დროს დაფიქსირებული პულსის სიხშირე, სისხლის წნევა, კანის დაჭიმულობა და ა.შ.

გოსნელისა და ლასველის გვერდით, რომლებმაც, ფაქტობრივად, განახორციელეს ჩიკაგოს რევოლუცია პოლიტიკურ მეცნიერებაში, დეპარტამენტის წამყვანმა სწავლულებმა, თავად მერიამის ჩათვლით, და მისმა კოლეგებმა _ ქუინსი რაითმა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით და ლ.დ. უაითმა საჯარო ადმინისტრირების დარგში _ ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩიკაგოს სკოლის რეპუტა-

ციის ჩამოყალიბებაში. მერიამმა (1931*a*) დააფინანსა და გამოსცა არაერთი წიგნი აშშ-სა და ევროპაში სამოქალაქო განათლების საკითხებზე. ეს კვლევები პოლიტიკური სოციალიზაციისა და კულტურის თანამედროვე შესწავლის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს. იმავე წლებში ქუინსი რაითმა (1942) შექმნა თავისი ძირითადი ნაშრომი ომის მიზეზების შესახებ, რომელშიც რაოდენობრივი მეთოდებით შეამოწმა სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური ჰიპოთეზების უტყუარობა. ლეონარდ უაითი შეეხო ლორდ ბრაისის (1888) მიერ წამოჭრილ პრობლემას, თუ "რატომ არ მიდიან პოლიტიკაში ამერიკის საუკეთესო ადამიანები" მისი წიგნი *საზოგადოებრივი მოღვაწეობის პრესტიჟული ფასეულობა* (*The Prestige Value of Public Employment*), რომელიც კონკრეტულ კვლევაზე იყო დაფუძნებული, 1929 წელს გამოიცა.

2. II მსოფლიო ომი და ომისშემდგომი ბიჰევიორისტული რევოლუცია

ჩიკაგოს სკოლა ნაყოფიერ მუშაობას აგრძელებდა XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლომდე, სანამ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ჰატჩინსის ხელმძღვანელობით ეჭვქვეშ არ დააყენა სოციალურ მეცნიერებებში ემპირიული კვლევის მნიშვნელობა. მრავალმა წამყვანმა პროფესორმა ფილოსოფიის დეპარტამენტიდან, ჯორჯ ჰერბერტ მიდისა და სხვა `პრაგმატისტების~ ჩათვლით, დატოვა უნივერსიტეტი და სხვაგან გადავიდა. პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტთა შორის, რომლებმაც დატოვეს უნივერსიტეტი, იყვნენ ლასველი და გოსნელიც, მერიამის პენსიაზე გასვლამ კი პრაქტიკულად საბოლოო წერტილი დაუსვა პოლიტიკური მეცნიერების მიმართულებით ჩიკაგოს დეპარტამენტის მოღვაწეობას. მაგრამ ჩიკაგოს სკოლას უკვე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი, რამაც უზრუნველყო მისი მომავალი. ჰერმან პრიჩეტმა განაგრძო ინოვაციური მოღვაწეობა საჯარო სამართლის სფეროში ჩიკაგოს უნივერსიტეტში; ლასველმა მუშაობა გააგრძელა იელის უნივერსიტეტში და უბიძგა დალს, ლინდბლომსა და ლეინს იელის დეპარტამენტის საქმიანობის გარდაქმნისაკენ. ვ.ო. კი უმ-

ცროსმა ჰარვარდში სტუდენტთა რამდენიმე თაობა აღზარდა და გააღვივა მათი ინტერესი პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო პროცესების და საზოგადოებრივი აზრის ემპირიული და რაოდენობრივი მეთოდებით კვლევისადმი. დევიდ ტრუმენმა და ევერი ლიზერსონმა თეორიული განზოგადებების დონემდე აიყვანეს ინტერესთა ჯგუფების კვლევა. უილიამ ტ. რ. ფოქსმა, კლაუს კნორმა, ბერნარდ ბროუდიმ, ამ სტრიქონების ავტორმა და მათმა სტუდენტებმა განავრცეს ჩიკაგოს ტრადიცია საერთაშორისო ურთიერთობისა და შედარებითი პოლიტიკის დარგებში იელის, პრინსტონის, კოლუმბიის, სტენფორდის უნივერსიტეტებში, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტსა და რენდის კორპორაციაში.

II მსოფლიო ომი მრავალი სწავლულისთვის თავისებური ლაბორატორია და მნიშვნელოვანი ექსპერიმენტების სარბიელი გახდა. მოგვიანებით მათ უშუალო მონაწილეობა მიიღეს ბიჰევიორისტულ რევოლუციაში. სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების მაღალი დონის უზრუნველყოფა სამუშაო ძალის შემცირების პირობებში; სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სამხედრო ძალებისათვის ახალწვეულთა რეკრუტირება თუ მომზადება და სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ მათი დაბრუნება სამოქალაქო ცხოვრებაში; საომარი სესხების ობლიგაციების გაყიდვა; მოხმარებისა და ინფლაციის დონის კონტროლი; ქვეყნის მოსახლეობის მორალური მდგომარეობის, მოკავშირეებისა და მტრებისადმი მისი დამოკიდებულების მონიტორინგი _ ყოველივე ამან, სხვა საკითხებთან ერთად, გაზარდა სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე სპეციალისტებზე მოთხოვნილება სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციის ყველა დარგში. ომის დროს საჭირო ძალისხმევამ მოიტანა სოციალური მეცნიერების ექსპერტიზის საჭიროება, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ომისშემდგომ ათწლეულებში აკადემიური ინსტიტუტების რაოდენობის სწრაფი ზრდა.

იუსტიციის დეპარტამენტში მუშაობისას, ლასველი ახორციელებდა უცხოენოვანი პრესის სისტემატურ რაოდენობრივ კონტენტ-ანალიზს, სწავლობდა შეერთებულ შტატებში მოკავშირეებისა და მტრების პროპაგანდას. სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლებთან

ჰანს შპეიერთან, გუდვინ უოტსონთან, ნათან ლეიტესთან და ედუარდ შილზთან ერთად, შედიოდა უცხოეთის ქვეყნებზე რადიომაუწყებლობის ანალიტიკურ ჯგუფში, რომელსაც აკონტროლებდა ფედერალურ საკომუნიკაციო კომისიასთან არსებული დაზვერვის სამმართველო. აქ, სხვა პრობლემებთან ერთად, აანალიზებდნენ ნაცისტების საინფორმაციო კომუნიკაციებს გერმანიის მიერ ევროპის ოკუპირებული სახელმწიფოების საშინაო პოლიტიკისა და მორალური მდგომარეობის შესახებ. სხვადასხვა სამხედრო უწყებებში, ასევე სოფლის მეურნეობის, სახაზინო და იუსტიციის დეპარტამენტებში, ფასწარმოებისა და საომარი ინფორმაციის სააგენტოებში, საომარი ვითარებიდან გამომდინარე, პრობლემების გადასაწყვეტად დაიწყო გამოკითხვების, ინტერვიუების, სტატისტიკური ანალიზის, განსაკუთრებით, მოდელირებისა და სხვა ემპირიული მეთოდების გამოყენება. საომარი დროის მოთხოვნებმა განაპირობა ინტერესი ანთროპოლოგიისადმი, რომელიც იმ დროს ფსიქიატრიულ-ფსიქოანალიტიკური მიმართულებით იყო წარმოდგენილი. ფაშიზმისა და ნაციზმის, საფრანგეთის პოლიტიკური მარცხის, რუსეთის, დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების კულტურული დაუცველობის მიზეზებს, ეძიებდნენ ოჯახის სტრუქტურაში, პირველად სოციალიზაციასა და კულტურულ ნიმუშებში. ანთროპოლოგიური და ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად საომარი ინფორმაციის სამმართველოსა და ომის დეპარტამენტში სპეციალისტებმა მიმართეს რუთ ბენედიქტს, მარგარეტ მიდს, კორა დიუბუას, კლაიდ კლაკჰონს, ერნსტ ჰილგარდს, ჯეფრი გორერს და სხვებს. სოციალური ფსიქოლოგები და სოციოლოგები, სპეციალიზებულნი გამოკითხვებსა და ექსპერიმენტულ სოციალურ ფსიქოლოგიაში, რომელთა რიცხვშიც შედიოდნენ რენსის ლიკერტი, ენგას კემპბელი, პოლ ლაზარსფელდი, ჰერბერტ ჰაიმანი, სემუელ სტაუფერი და კარლ ჰოვლანდი, დაასაქმეს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სამხედრო ძალებმა საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად, სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა _ სურსათის წარმოების გასაზრდელად, ხაზინამ, რომელიც დაინტერესებული იყო საომარი სესხების ობლიგაციების მაქსიმალურად დიდი რაოდენობით გაყიდვით, ასევე სხვადასხვა სადაზვერვო სამსახურმა, მათ შორის სტრატეგიული სამსახურების

სამმართველომ (OOS). პოლიტიკის მკვლევართა ახალგაზრდა თაობა, რომელიც ომის წლებში მუშაობდა ამ ორგანიზაციებში, თითქოსდა პოსტსადოქტორო სტაჟირებას გადიოდა სოციალური მეცნიერების დისციპლინებში წამყვანი სწავლულების ზედამხედველობის ქვეშ.

სწრაფად დაგროვილი აკადემიური გამოცდილება ომისშემდგომ და ცივი ომის პერიოდის მსოფლიოში უაღრესად სასარგებლო გამოდგა. გარდა იმისა, რომ ამაღლდა პოლიტიკური მეცნიერების პრესტიჟი და დახვეწა უმაღლესი განათლების სისტემა, მისი სწავლება დაიწყო მრავალ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც მანამდე ასეთი სპეციალობა არ არსებობდა. საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლა, რასაც სტიმულს აძლევდა ამერიკის ზეგავლენის განმტკიცება ომისშემდგომ პერიოდში და ცივი ომის წლებში, ამიერიდან შემოიღეს ახალი კვლევითი ინსტიტუტების უმრავლესობაში _ იელის, პრინსტონის და კოლუმბიის უნივერსიტეტებში, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში და ჰარვარდში, 50-60-იან წლებში კი _ ქვეყნის შუა დასავლეთისა და დასავლეთის უნივერსიტეტებში. საშტატო განრიგის შედგენისას ამ ახალ კვლევით ინსტიტუტებში და პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტებში ითვალისწინებდნენ არა მხოლოდ ტრადიციულ სუბდისციპლინებს, მაგალითად, საერთაშორისო სამართალს, ორგანიზაციულ და დიპლომატიის ისტორიას, არამედ მისი განვითარების შედეგად წარმოქმნილ ახალ მიმართულებებსაც – უსაფრთხოების, საერთაშორისო ეკონომიკის, საზოგადოებრივი აზრისა და პოლიტიკური კულტურის პრობლემების შესწავლას. ურთიერთობა აზიის, აფრიკის, შუა აღმოსავლეთისა და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებთან, რომლებსაც ახალი მიღებული ჰქონდათ დამოუკიდებლობა, ახლა განიხილებოდა საბჭოთა კავშირის მხრიდან აგრესიულობის გამოვლენის პრიზმაში, რაც მოითხოვდა სპეციალისტთა მომზადებას ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პროცესებისა და პრობლემების რეგიონულ კვლევებში. პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტები სწრაფად იზრდებოდა, რათა მოემზადებინათ რეგიონული კვლევების ახალი სპეციალისტები და საერთაშორისო ურთიერთობათა პროგრამები.

II მსოფლიო ომის დროს მოღვაწე ემპირიული კვლევის სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ მათზე დიდი მოთხოვნილება არსებობდა. ბიზნესმენებს სურდათ ბაზრის უკეთ ცოდნა და იმის გაგება, თუ როგორ შეეძლოთ უკეთესად გაეყიდათ პროდუქცია; პოლიტიკოსებს უნდოდათ, სცოდნოდათ მათი ამომრჩევლების მისწრაფებებები და განზრახვები. 30-40-იანი წლების მცირე წამოწყებებთან შედარებით, ემპირიული და მარკეტინგული კვლევები არნახულად განვითარდა ომისშემდგომ ათწლეულებში (Converse 1987). მათში შედიოდა როგორც აკადემიური, ისე კომერციული კომპონენტი. ამ სამუშაოში ჩართული იყო უმნიშვნელოვანესი აკადემიური ინსტიტუტები: მიჩიგანის უნივერსიტეტი ფსიქოლოგების _ რენზის ლიკერტის, ეინგას კემპბელის და დორვინ კარტრაიტის მიერ დაარსებული სოციალური კვლევის ინსტიტუტითა და ემპირიული კვლევის ცენტრით; სოციოლოგების _ პოლ ლაზარსფელდისა და რობერტ მერტონის მიერ დაარსებული გამოყენებითი სოციალური კვლევის ცენტრი კოლუმბიის უნივერსიტეტში და საზოგადოებრივი აზრის კვლევის ნაციონალური ცენტრი ჩიკაგოს უნივერსიტეტში, რომელსაც არსებობის პირველ წლებში სათავეში სოციოლოგი კლაიდ ჰერტი ედგა. ამ სამმა ორგანიზაციამ ომისშემდგომ ათწლეულებში შექმნა ლიტერატურა და ჩამოაყალიბა პროფესურა, რამაც დიდად განსაზღვრა `ბიჰევიორისტული რევოლუცია".

ახალი თაობის პოლიტიკის მკვლევართა მომზადებაში ამ სამი საუნივერსიტეტო ცენტრიდან ყველაზე მნიშვნელოვანი როლი მიჩიგანის უნივერსიტეტმა შეასრულა. ჯერ კიდევ 1947 წელს სოციალური კვლევის ინსტიტუტში შეიქმნა საზაფხულო სკოლა, სადაც პოლიტიკის ახალგაზრდა მკვლევრები სოციალური მეცნიერების სხვა დარგების სპეციალისტებს ასწავლიდნენ ემპირიული მეთოდის გამოყენებას. ამ პროგრამის არსებობის წლებში ასეულობით ამერიკელი და უცხოელი პოლიტიკის მკვლევარი დახელოვნდა ემპირიული და ელექტორალური კვლევის ტექნიკაში. 1961 წელს შეიქმნა პოლიტიკური და სოციალური კვლევის უნივერსიტეტთაშორისი კონსორციუმი (ICPSR) რამდენიმე უნივერსიტეტის შეთანხმების საფუძველზე, რომელთანაც არსებობდა სწრაფი ტემპით მზარდი არქივი რაოდენობრივი დამუშავებისათვის მზა გამოკითხვათა შედეგებითა და სხვა მონაცემებით. ეს არ-

ქივი გახდა ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო არაერთი დისერტაციის, სტატიის, მონოგრაფიის მოსამზადებლად, რომლებშიც განიხილებოდა დემოკრატიული პროცესის განვითარების სხვადასხვა ასპექტი. კონსორციუმი ატარებდა საკუთარ საზაფხულო კურსს რაოდენობრივი მეთოდების შესწავლისათვის.

1977 წელს მიჩიგანის უნივერსიტეტის საარჩევნო კვლევების ემპირიული კვლევითი ცენტრი გადაიქცა ამერიკის ნაციონალურ საარჩევნო კვლევის ცენტრად, რომელსაც მხარს უჭერდა ნაციონალური სამეცნიერო ფონდი მნიშვნელოვანი გრანტით. მას მეთაურობს მეთვალყურეთა ნაციონალური საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებული არაა ამერიკული უნივერსიტეტების წინაშე. ორგანიზაციას, რომელიც განთავსებულია მიჩიგანის უნივერსიტეტის სოციალური კვლევების ინსტიტუტის პოლიტიკური კვლევების ცენტრში, სათავეში ედგა უორენ მილერი, მეთვალყურეთა საბჭოს კი ხელმძღვანელობდა ჰეინც ეულაუ სტენფორდის უნივერსიტეტიდან. ცენტრი რეგულარულად ატარებდა ნაციონალური არჩევნების კვლევას. კვლევებში, ჩვეულებრივ, მონაწილეობს პოლიტიკური და სოციალური მეცნიერების წარმომადგენლები, კვლევის შედეგები კი შეუძლია გამოიყენოს მთლიანად სამეცნიერო საზოგადოებამ (Miller 1994; იხ. ქვემოთ: თავი 11).

თუ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ომთაშორის ათწლეულებში პოლიტიკური მეცნიერების სფეროში სამეცნიერო რევოლუციის განხორციელებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩიკაგოს უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების სკოლამ, ისიც უდავოა, რომ მიჩიგანის უნივერსიტეტის სოციალური კვლევების ინსტიტუტმა მთავარი როლი იტვირთა ამ სამეცნიერო კულტურის გავრცელებაში შეერთებული შტატების და საზღვარგარეთის წამყვან აკადემიურ ცენტრების უმრავლესობაში მეორემსოფლიო ომის შემდგომ ათწლეულებში. ასეულობით ახალგაზრდა მეცნიერმა შეისწავლა ემპირიული და სტატისტიკური მეთოდები მის საზაფხულო მოსამზადებელ ინსტიტუტებში. მეცნიერთათვის საარქივო მასალები მრავალრიცხოვანი სტატიებისა და ათეულობით წიგნის მომზადების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. მიჩიგანში განხორციელებული საარჩევნო პროცესების კვლევა ნიმუშად იქცა დანარჩენი მსოფლიოში არჩევნების სრულყოფილი კვლევისათვის.

ემპირიული პოლიტიკური თეორიის გავრცელება და სრულყოფა არ შეეხო მხოლოდ საარჩევნო პროცესების ტექნიკურ და თეორიულ მხარეებს. ისეთი სფეროები, როგორიცაა საერთაშორისო ურთიერთობები და შედარებითი პოლიტიკური მეცნიერება, ისევე სწრაფად ვითარდებოდა, როგორც ამერიკული პოლიტიკის კვლევა. მათი ზრდის პარალელურად ასევე გამოიყენებოდა რაოდენობრივი და ინტერდისციპლინური მიდგომები. ომისშემდგომი ათწლეულების უმნიშვნელოვანეს საუნივერსიტეტო ცენტრებში _ იელში, ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტში, ჰარვარდში, მიჩიგანის, ვისკონსინის, მინესოტას, სტენფორდის, პრინსტონის უნივერსიტეტებში, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში და სხვაგან _ ასეულობით მაძიებელმა მოიპოვა დოქტორის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებაში, რის შემდეგაც მათ შესთავაზეს სამუშაო მრავალ ამერიკულ და საზღვარგარეთულ კოლეჯსა და უნივერსიტეტში აყვავებისა და ზრდის პროცესში მყოფ პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტებზე. ამ ცენტრებში უმრავლესობაში ომისშემდეგომ ათწლეულებში სწავლობდნენ რაოდენობრივ მეთოდებს (Somit and Tannenhaus 1967; Crick 1959; Eulau 1976).

1940-60-იან წლებში სპეციალისტთა მომზადება მნიშვნელოვანწილად გაადვილდა პედლეტონ ჰერინგის მეთაურობით არსებული სოციალური მეცნიერების კვლევითი საბჭოს სამაგისტრო და პოსტსადოქტორო სტიპენდიებისა და კვლევის მხარდაჭერის პროგრამების წყალობით. მისი პოლიტიკური მეცნიერების კვლევის ორი კომიტეტი _ პოლიტიკური ქცევის კვლევის კომიტეტი და მისგან გამოყოფილი შედარებითი პოლიტიკის შესწავლის კომიტეტი _ განსაკუთრებით აქტიურობდა ამ იდეების ცხოვრებაში გასატარებლად და პრაქტიკაში დასანერგად. პოლიტიკური ქცევის კვლევის კომიტეტი მიმართულებას აძლევდა და ხელს უწყობდა ამერიკულ საარჩევნო და საკანონმდებლო კვლევებს. შედარებითი პოლიტიკის შესწავლის კომიტეტი წარმმართველ როლს ასრულებდა რეგიონული და შედარებითი კვლევების განვითარებისა და სრულყოფის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამებში მონაწილეობდნენ ძირითადად ამერიკელი პოლიტიკური და სოციალური მეცნიერები, შედარებითი პოლიტიკის კომიტეტის მიერ 1954_1972 წლებში ჩატარებული კონფერენციების

მონაწილეთა დაახლოებით ერთი მეხუთედი უცხოელი მეცნიერი იყო. ზოგიერთი მათგანი, კერძოდ, სტეინ როკანი, ჰანს დაალდერი, სემუელ ფინერი, რიჩარდ როუზი, ჯოვანი სარტორი და სხვები, იყვნენ ევროპასა და თავიანთ ქვეყნებში ლიდერები იმ მოძრაობისა, რომლის მიზანიც იყო პოლიტიკური და სოციალური მეცნიერების სფეროში მუშაობის გაფართოება და ხარისხის დახვეწა.

სწორედ ამ წლებში პოლიტიკური მეცნიერების დისციპლინა ყალიბდებოდა თანამედროვე `პროფესიად~. პოლიტიკური მეცნიერების, ხელისუფლების და პოლიტიკის შემსწავლელი დეპარტამენტები პირველად შეიქმნა XIX საუკუნის მიწურულს, როდესაც მათ დაიწყეს ჩამოყალიბება ისტორიკოსთა, სამართალმცოდნეების და ფილოსოფოსთა ერთობლივი ძალისხმევის წყალობით. XX საუკუნის პირველი ათწლეულებისათვის მრავალ ამერიკულ უნივერსიტეტში უკვე არსებობდა ცალკე მდგომი დეპარტამენტები. 1903 წელს დაარსდა ამერიკის პოლიტიკური მეცნიერების ასოციაცია, რომელშიც სულ 200 წევრი იყო გაერთიანებული. მისი წევრების რაოდენობამ II მსოფლიო ომის დასასრულისათვის 3 ათასს მიაღწია, შემდეგ 10Oათასს გადააჭარბა 60-იან წლების შუა ხანებში, დღეს მასში გაერთიანებულია 13 ათასზე მეტი ინდივიდუალური წევრი. მათი უმრავლესობა ასწავლის უმაღლეს სასწავლებლებში და გაერთიანებულია მრავალრიცხოვან სუბსპეციალობებად. პოლიტიკური მეცნიერების მასწავლებელთა და მკვლევართა უმრავლესობას მინიჭებული აქვს პოლიტიკურ მეცნიერების ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან სასწავლო ცენტრში. როგორც წესი, იმისთვის, რომ ეს ხარისხი მიიღონ, აუცილებელია სპეციალობასა და მეთოდოლოგიაში გამოცდების ჩაბარება, ასევე საკმაოდ მსხვილი კვლევითი პროექტის განხორციელება. სამეცნიერო რეპუტაცია ემყარება მკვლევრის მიერ გამოქვეყნებულ წიგნებსა და სტატიებს, რომლებიც გამოსაქვეყნებლად რეკომენდირებულია `თანასწორთა თვალსაზრისით~ (peer review). სამეცნიერო რანგით წინსვლა, ჩვეულებრივ, მოითხოვს მკვლევრის მოღვაწეობის დადებით შეფასებას მისი იმ კოლეგების მიერ, რომლებიც ანალოგიურ პრობლემებს იკვლევენ. გამოდის რამდენიმე ათეული პერიოდული ჟურნალი

პოლიტიკური მეცნიერების ცალკეულ დარგებში, რომელთა გამოქვეყნებაც ხდება თანასწორი სპეციალისტების რეცენზიის საფუძველზე.

პოლიტიკური მეცნიერების სწავლებამ და კვლევებმა II მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ ნახევარი საუკუნის განმავლობაში განაპირობა მნიშვნელოვანი აკადემიური პროფესიის შექმნა, მრავალი სუბდისციპლინით და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პოლიტიკის, მისი ყველა გამოხატულების შესწავლასა და გააზრებაში. რეგიონული კვლევები დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის, შუა აღმოსავლეთის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის შესახებ განახორციელა ათასობით კვალიფიცირებულმა სწავლულმა, რომლებიც მუშაობენ `რეგიონული კვლევების~ სამეცნიერო ცენტრებში, ასეთი ცენტრები კი არსებობს უამრავ უნივერსიტეტთან და კოლეჯთან, თავიანთი პროფესიული ორგანიზაციებითა და პერიოდული გამოცემებით. ამის საფუძველზე დაარსდა არაერთი ბიბლიოთეკა, სადაც შესაძლებელია ინფორმაციული და დახვეწილი მონოგრაფიების მოძიება.

დამოუკიდებელი კვლევითი პროგრამების ეს სწრაფი და შერჩევითი მიმოხილვა შეიძლება დაგვეხმაროს პოლიტიკური ცოდნის ზრდის შეფასებაში. ჩვენ უკვე აღვწერეთ საარჩევნო კვლევების გავრცელება და დახვეწა. მათ საფუძველზე მიღებული გათვლები, გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება შედარდეს მეტეოროლოგების ან სეისმოლოგების პროგნოზებს. ჩვენ მნიშვნელოვანი წარმატებები მოვიპოვეთ პოლიტიკური კულტურის გაგების თვალსაზრისით _ თუ როგორ ახდენს ის გავლენას პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და მათ მუშაობაზე, ასევე მნიშვნელოვანი ელიტების და სხვა სოციალური ჯგუფების პოლიტიკურ კულტურაზე. მიმოხილვითი კვლევის ამგვარ ნიმუშებში შედის გებრიელ ალმონდის, სიდნეი ვერბას, ალექს ინკელესის, რონალდ ინგლეჰარტის, სემუელ ბარნესის და რობერტ პუტნამის ნაშრომები.[6] პოლიტიკური კულტურის უფრო მეტად აღწერილობით-ანალიტიკური გამოკვლევა წარმოდგენილია ლუსიან პაის ნაშრომებში (Pye

[6] Almond and Verba 1963; Verba 1987; Inkeles and others 1950; 1959; 1974. Inglehart 1977; 1990; Barnes and Kaase *et al.*; 1979 Putnam 1973; 1993.

1962; 1985; 1988; Pye and Verba 1965). გამოკვლევათა სერიის წყალობით, რომლებიც განახორციელეს ვერბამ და მისმა თანამშრომლებმა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, არსებითად გაიზარდა ჩვენი წარმოდგენა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხის თაობაზე.[7]

ომისშემდგომი პერიოდის პირველ ათწლეულებში ტალკოტ პარსონსმა და სხვა მკვლევრებმა, ისეთი ევროპელი სოციოლოგების ნაშრომებზე დაყრდნობით, როგორებიც არიან ვებერი და დიურკჰეიმი შეიმუშავეს `სისტემური~ ჩარჩოები სხვადასხვა ტიპის საზოგადოებებისა და სოციალური ინსტიტუტების შესადარებლად.[8] ამ და სხვა წყაროებზე დაყრდნობით, დევიდ ისტონმა პოლიტიკურ მეცნიერებაში პირველად შემოიტანა `სისტემის~ ცნება (Easton 1953; 1965; 1990; Almond and Coleman 1960; Almond and Powell 1966).

აგრეგაციული სტატისტიკური მეთოდების მეშვეობით მოხერხდა ჩვენი წარმოდგენების სრულყოფა მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესების შესახებ[9], ასევე სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების თაობაზე.[10] მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული ინტერესთა ჯგუფებისა და `კორპორატისტული~ ფენომენის გააზრების თვალსაზრისით[11] და ასევე დემოკრატიულ პროცესში პოლიტიკური პარტიების გადამწყვეტი მნიშვნელობის შეფასებაში.[12]

ეულაუს, უოლკეს, პიტკინისა და პრიუტის გამოკვლევებში დამუშავებული და სისტემატიზებული იყო წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ქცევისა და პროცესის თეორიები.[13] ჰერბერტ საიმონმა, ჯეიმს მარჩმა და სხვებმა, სამთავრობო ორგანიზაციების შესწავლის საფუძველზე, შექმნეს ორგანიზაციების თეორიის ახალი ინტერდისციპლინური დარგი, რომელიც ზოგადად შეიძლება გამოყენებულ იქნეს

---

[7] Verba and Ahmed 1973; Verba and Nie 1972; Verba, Nie and Kim 1978; Schlozman and Verba 1979; Schlozman, Verba and Brady 1995.

[8] Parsons 1951; Parsons and Shils 1951; Parsons and Smelser 1956.

[9] Lerner 1958; Deutsch 1961. Lipset 1959; 1960; 1994; Diamond and Plattner 1993.

[10] Hibbs 1978; Cameron 1978; Alt and Chrystal 1983.

[11] Goldthrope 1978; Schmitter and Lehmbruch 1979; Berger 1981.

[12] Lipset and Rokkan 1967; Sartori 1976; Lijphart 1968; 1984; Powel 1982.

[13] Wahlke and Eulau 1962; 1978. Eulau and Prewit 1973; Eulau 1993; Pitkin 1967.

ნებისმიერი მსხვილი ორგანიზაციის მიმართ, ბიზნეს კორპორაციების ჩათვლით.[14] უკანასკნელ ათწლეულებში შეერთებულ შტატებსა და ევროპაში მიმდინარეობს ერთობლივი კვლევები საჯარო პოლიტიკის სფეროში, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება გადაიზარდოს ახალ პოლიტიკურ ეკონომიაში.[15]

დემოკრატიის თეორიამ, განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად წაიწია წინ რობერტ დალის, არენდ ლიპჰარტის და ჯოვანი სარტორის ნაშრომების წყალობით.[16] დემოკრატიზაციის თეორია განავითარეს ხუან ლინცმა, ლარი დაიმონდმა, ფილიპ შმიტერმა, გილერმო ო'დონელმა, სემუელ ჰანტინგტონმა და სხვებმა.[17] დემოკრატიის შესწავლა, რომელსაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა რობერტ დალმა, იმის მაგალითია, თუ როგორ შეუძლია ნორმატიულ და ემპირიულ პოლიტიკურ თეორიებს ურთიერთგამდიდრება (Dahl 1989).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამ თავში ყურადღებას ვაქცევთ ემპირიული, განმარტებითი და რაოდენობრივი პოლიტიკური მეცნიერების განვითარებასა და გავრცელებას, გარკვეული "პროგრესი" მიღწეულ იქნა ამ დისციპლინის სხვა ძველ განშტოებებშიც. პოლიტიკის ისტორიკოსების, პოლიტიკის ფილოსოფოსების, იურისტების დებულებები და ვარაუდები სულ უფრო მეტად ეფუძნება სამეცნიერო მეთოდოლოგიის სრულყოფას _ დიდი ინფორმაციის დაგროვებას და ანალიზისა და დასკვნების ლოგიკის დახვეწას. კომპარატიულმა პოლიტიკურმა ისტორიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სახელმწიფოს, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და საჯარო პოლიტიკის თეორიაში (Moore 1966; Skocpol 1979; 1984). "კონკრეტული კვლევის" (Case studies-ის) მეთოდოლოგიის სრულყოფამ ჰარი ეკსტეინისა და ალექსანდერ ჯორჯის ნაშრომებში გაზარდა ისტორიული კვლევების სიზუსტე შე-

---

[14] Simon 1950; 1953; 1957. March and Simon 1958; March 1965; 1988.

[15] Widavski 1986; Flora and Heidenheimer 1981; Heidenheimer, Heclo and Adams 1990; Castles 1989.

[16] Dahl 1956; 1961; 1970; 1971; 1973; 1982; 1985. Lijphart 1968; 1984; 1994. Sartori 1987.

[17] Linz and Stepan 1978. Diamond and Plattner 1993. Schmitter, O'Donnell and Whitehead 1986. Huntington 1991.

დარებით პოლიტიკისა და საგარეო პოლიტიკის შესწავლისას.[18] კომპარატიული მეთოდოლოგია დახვეწილი და განვითარებულია ალმონდისა და მისი კოლეგების, ადამ პრჟევორსკის და ჯეიმს ტიუნის, არენდ ლიპჰარტის, ნეილ სმელზერის, მატეი დოგანის, დევიდ კოლიეს, გარი კინგის, რობერტ ქეოჰეინის და სიდნეი ვერბას გამოკვლევებში.[19]

როულზის, ნოზიკის, ბერის, უოლზერის, ფიშკინის ნაშრომების წყალობით, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ნორმატიულმა პოლიტიკურმა ფილოსოფიამ და ამაში გარკვეული როლი მიუძღვის ემპირიულ კვლევებს.[20] უილიამ გალსტონმა (Galston 1993) ახლახანს გამოცემულ ნაშრომში *პოლიტიკური მეცნიერება: დისციპლინის მდგომარეობა II*, წარმოაჩინა, რომ პოლიტიკური ფილოსოფია და თეორია სულ უფრო მეტად ეყრდნობა ემპირიულ მონაცემებს, რომელთაგან ბევრი მოპოვებულია პოლიტიკურ მეცნიერებასა და სოციალური მეცნიერების სხვა დისციპლინებში ჩატარებული კვლევების შედეგად. გალსტონი პოლიტიკის თეორეტიკოსებს მოუწოდებს, რომ ხელი მიჰყონ ემპირიული მონაცემების კოდიფიკაციას პოლიტიკის ფილოსოფიასთან მიმართებაში როგორც ეს გააკეთეს რობერტ დალმა (Dahl 1956), დენის ტომპსონმა (Thomson 1970) და ჯეიმს ქ. ვილსონმა (Wilson1993).

სასამართლოებისა და საჯარო სამართლის თანამედროვე კვლევის მარტინ შაპიროსეული (Shapiro 1993) შეფასება ასევე ვითარდება სამართლის და პოლიტიკური ინსტიტუტებისა თუ პროცესების უფრო მჭიდრო ინტეგრაციით. სამართლებრივი ანალიზის გარეშე პოლიტიკური მეცნიერება მნიშვნელოვანწილად კარგავს თავის განმარტებით უნარს, სამართლებრივი ანალიზი კი, პოლიტიკური, ინსტიტუციური და პროცესუალური კონტექსტის გარეშე, ფორმალისტური და სტერილური ხდება. შაპიროს ნაშრომები, ასევე, სასამართლო პრაქტიკისა და

---

[18] მეთოდოლოგიის შესახებ იხ. Eckstein 1975; George and Mckeown 1982. ამ მეთოდოლოგიის გამოყენების შესახებ იხ. George and Smoke 1974; George 1980; George *et al*. 1983; George and Simons 1994.

[19] Almond and Coleman 1960. Almond, Flanagan and Mundt 1973. Przeworski and Teune 1970. Syphart 1971. Smelser 1976. Dogan and Pelassy 1990. Collier 1993. King, Keohane and Verba 1994.

[20] Rawls 1971. Nozick 1974. Barry 1970. Walzer 1983. Fishkin 1992.

საჯარო სამართლის შემსწავლელთა მზარდი რიცხვი, წარმოაჩენს ამ ვარაუდის მართებულობას.

აქედან გამომდინარე, პოლიტიკური მეცნიერების ისტორიის ჩვენეული შეფასება მოიცავს ადრეული ტრადიციული სუბდისციპლინების მიღწეულ პროგრესს, რომელთა მიმართაც გამოყენებული იყო იგივე კრიტერიუმები. პოლიტიკის შესწავლაში XIX საუკუნის სამეცნიერო რევოლუციის შეჭრის შემდეგ, პოლიტიკის მეცნიერების პასუხი იყო არაერთმნიშვნელოვანი და წინააღმდეგობრივი. დისციპლინის ზოგიერთმა დარგმა ამ გამოწვევებს უკვე გასცა პასუხი სხვებში ეს სიძნელეები აღიქმებოდა გადაულახავ წინაღობად, რომელიც აკნინებდა ამა თუ იმ სფეროს სამეცნიერო ღირებულებას და სამეცნიერო საზოგადოებაში განხეთქილების საფრთხეს ქმნიდა. მოცემულ შემთხვევაში, შეუძლებელია, არ გავითვალისწინოთ ჩამორჩენილობის შიში, გამოწვეული კვლევის ახალი მეთოდების, კერძოდ, სტატისტიკური, მათემატიკური მეთოდებისა და დიაგრამული ოსტატობის, დანერგვით. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური ისტორიის, ფილოსოფიისა და სამართლის სფეროებში სპეციალისტთა ახალმა თაობამ შეძლო გადაელახა ეს საფრთხე. ბიჰევიორისტული მიდგომის სისუსტეებისა და ნაკლოვანებების გამოვლენით მათ შეძლეს, შეემუშავებინათ მისტიფიკაციების საკუთარი არსენალი და დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ არანაკლებ წარმატებით გამოიყენონ კვამლი და სარკეები, ვიდრე მათმა "ბიჰევიორისტმა თანამოძმეებმა".

3. პოლიტიკური მეცნიერება ევროპაში

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური მეცნიერება სათავეს იღებს ჯერ კიდევ ხმელთაშუა ზღვისპირა ანტიკურ სამყაროში, შემდეგ კი ვითარდებოდა შუა საუკუნეების კათოლიკურ, აღორძინების, რეფორმაციის, განმანათლებლობის ეპოქებში და XIX საუკუნის ევროპაში[21], იგი მაინც ცალკეული სწავლულების შეხედულებათა სახით არსებობ-

[21] გარდა ამისა, ძველ ინდოეთში (Rangavajan 1987) და შუა საუკუნეების ისლამურ სამყაროში (Rabi 1967).

და, ბერძნული აკადემიების ან შუა საუკუნეების ევროპული უნივერსიტეტების შემთხვევაში და უფრო გვიანაც კი. გარდასულ ეპოქებში არაერთი პოლიტიკის ფილოსოფოსი და თეორეტიკოსი სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა ეკლესიაში, მისი ბიუროკრატიისა და და ორდენების ჩარჩოებში მოქმედებდა, ამასთან ეყრდნობოდა მეფეთა და არისტოკრატიის მხარდაჭერას, ზოგიერთი კი თვითონ იყო არისტოკრატიის ან მდიდარი ფენის წარმომადგენელი. XIX საუკუნეში ევროპული უნივერსიტეტების რიცხვის ზრდასთან ერთად მათში სულ უფრო მეტად მკვიდრდებოდა სახელმწიფოს, ადმინისტრაციის, პოლიტიკისა და საჯარო პოლიტიკის შესწავლა. უკანასკნელ ხანებამდე, ჩვეულებრივ, ევროპული უნივერსიტეტების ნაწილს წარმოადგენდა კათედრა, რომელსაც სათავეში ედგა პროფესორი და რომლის გარშემოც შემოკრებილნი იყვნენ უფრო დაბალი წოდების მქონე დოცენტები და ასისტენტები. ომისშემდგომ ათწლეულებში ზოგიერთი ეს საუნივერსიტეტო კათედრა გაფართოვდა და გარდაიქმნა დეპარტამენტად, რომლებშიც გარკვეული რაოდენობის პროფესორები ეწევიან სხვადასხვა სპეციალობაში პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

პერიოდული გამოცემის *European Journal of Political Research* (Vallès and Newton 1991) ერთ-ერთი უკანასკნელი ნომერი დასავლეთ ევროპის პოლიტიკური მეცნიერების ომისშემდგომ ისტორიას ეძღვნება. რედაქტორების შესავალ ესეიში აღნიშნულია, რომ ევროპაში პოლიტიკური მეცნიერების წარმატებები, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, დაკავშირებულია დემოკრატიზაციის პროცესთან და საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან, ვინაიდან აქტიური, ღია სახელმწიფო, რომელიც იჭრება ცხოვრების ყველა სფეროში, საჭიროებს სულ უფრო მეტ ინფორმაციას პოლიტიკური პროცესებისა და პოლიტიკის განხორციელების შესახებ. ამ ესეის ავტორები აღიარებენ, რომ ამერიკული პოლიტიკური მეცნიერებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ევროპელებზე და აღნიშნავენ, რომ ევროპაში ჯერ კიდევ II მსოფლიო ომამდე არსებობდა საარჩევნო პროცესების `ბიჰევიორისტული~ შესწავლის ტრადიცია (Siegfried 1930). ამის მაგალითია დიუვერჟე საფრანგეთში (Duverger (1951/1976) და ტინგსტენი შვედეთში (Tingsten 1937/1963). როგორც აღვნიშნეთ, XIX-XX საუკუნეებში სო-

ციალურ მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე მეცნიერები, რომელთა იდეებმაც საფუძველი ჩაუყარა კვლევითი საქმიანობის განვითარებას ამერიკაში, ევროპელები იყვნენ. როგორც რიჩარდ როუზი (Rose 1990) მიუთითებს, იმისდა მიუხედავად, რომ პოლიტიკური მეცნიერება შეერთებულ შტატებში ძირითადად II მსოფლიო ომის შემდეგ ვითარდებოდა, ამერიკული პოლიტიკური მეცნიერების ფუძემდებლებმა _ ვუდრო ვილსონმა, ფრენკ გუდნოუმ, ჩარლზ მერიამმა – სამეცნიერო ხარისხი მიიღეს ან პოსტსადოქტორო მომზადება გაიარეს ევროპულ უნივერსიტეტებში, ძირითადად კი, გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში. სწავლება, კულტურა და პროფესიული დაოსტატება კონცენტრირებული იყო ბებერ კონტინენტზე მაშინ, როცა ოკეანის გადაღმა ყოველივე ეს სუსტად იყო განვითარებული. I მსოფლიო ომის წინა პერიოდში ამერიკელი სწავლულები საკუთარ თავს პროვინციალებად აღიქვამდნენ. ომთაშორის პერიოდში ისეთ ნოვატორულ ცენტრშიც კი, როგორიც იყო ჩიკაგოს უნივერსიტეტი, მერიამი ურჩევდა ნიჭიერ სტუდენტებს ცოდნის გასაღრმავებლად უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ევროპაში წასულიყვნენ და უზრუნველყოფდა მათ ფინანსურად.

ნაცისტურმა და ფაშისტურმა დაპყრობებმა და II მსოფლიო ომის დამანგრეველმა შედეგებმა თითქმის ათწლეულით დაამუხრუჭა საუნივერსიტეტო ცხოვრების განვითარება კონტინენტური ევროპის ქვეყნებში. სოციალურ მეცნიერებათა გერმანელი სპეციალისტების უმრავლესობა გადასახლდა ამერიკაში, სადაც მათ არა მხოლოდ საკუთარი წვლილი შეჰქონდათ ფაშიზმთან ბრძოლაში, არამედ ხელს უწყობდნენ ამერიკაში სოციოლოგიის, ფსიქოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერების სწავლებასა და კვლევას. ნიუ-იორკის სოციალური კვლევების ახალ სკოლაში შეიქმნა ფაკულტეტი, რომელიც მთლიანად ამგვარი `დევნილებით~ იყო დაკომპლექტებული. ძნელად მოიძებნებოდა უნივერსიტეტი, სადაც სოციალური მეცნიერების ფაკულტეტზე ერთი ან ორი დევნილი პროფესორი მაინც არ ასწავლიდა. ისეთმა სწავლულებმა, როგორებიც არიან პოლ ლაზარსფელდი, კურტ ლევინი, ვოლფგანგ კოლერი, ჰანს შპაიერი, კარლ დოიჩი, ჰანს მორგენთაუ, ლეო ლოვენტალი, ლეო სტრაუსი, ფრანც ნოიმანი, ჰენრი ერმანი, ოტო კირხჰაიმერი, ჰერბერტ მარკუზე, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ბიჰევიორის-

ტულ რევოლუციაში შეერთებულ შტატებში ისევე, როგორც იმ ტენ-დენციებში რომლებიც ამ რევოლუციას აკრიტიკებდა. ამგვარად, პო-ლიტიკური მეცნიერება, რომელიც II მსოფლიო ომის შემდეგ შეერთე-ბული შტატებიდან დამკვიდრდა ევროპაში, ნაწილობრივ იყო იმ პო-ლიტიკური მეცნიერების ნაყოფი, რომელსაც ძირები ევროპაში ჰქონ-და.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველ ათწლეულებში ევრო-პის აღდგენის, მისი სამეცნიერო დაწესებულებების გახსნისა და ამ უკ-ანასკნელთა კადრებით დაკომპლექტების შემდეგ, ყველაფერი ახალი, რაც სოციალურ მეცნიერებებში აღმოჩნდა, უმეტესწილად ამერიკული წარმომავლობისა იყო. სამართლებრივ და ისტორიულ მიდგომებზე უარის თქმა სახელმწიფო ინსტიტუტების, პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო პროცესების, ინტერესთა ჯგუფების, საზოგადოებრივი აზრისა და კომუნიკაციების შესწავლისას, ამერიკის უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში უკვე მომხდარი ფაქტი იყო. მარშალის გეგმის გვერდით, რომელიც მიმართული იყო ევროპის განადგურებული ეკ-ონომიკის აღდგენისაკენ, ამერიკელი მკვლევრები, ამერიკული საქ-ველმოქმედო ფონდების ხელშეწყობით, მისიონერების მსგავსად იღვ-წოდნენ ევროპაში ევროპული მეცნიერების განახლებისათვის, მისი ას-იმილირებისათვის ამერიკულ ემპირიულ და რაოდენობრივ მიდგო-მებთან. ათეულობით ახალგაზრდა ევროპელი მეცნიერი, რომელთაც ეხმარებოდა როკფელერისა თუ სხვა ფონდები, იღებდნენ სტიპენდი-ებს და ჩადიოდნენ შეერთებულ შტატებში სწავლის გასაგრძელებლად. ამერიკულ კვლევით პროგრამებში - სოციალური მეცნიერების კვლე-ვითი საბჭოს (SSRC) შედარებითი პოლიტიკის კომიტეტის, მიჩიგანის უნივერსიტეტის ელექტორალური კვლევების, პოლიტიკურ ფასეულ-ობათა ინგლეჰარტის კვლევების - მონაწილეობის მისაღებად იწვევ-დნენ ევროპელ სპეციალისტებს, ამზადებდნენ მათ და ხშირად აფინან-სებდნენ კიდეც.

ამგვარი ცალმხრივი დამოკიდებულება დიდხანს არ გაგრძელე-ბულა. სოციალური მეცნიერებების დარგში კვლევა და ტრადიციები იმდენად ღრმად იყო გამჯდარი ევროპის ეროვნულ კულტურებში, რომ შეუძლებელი იყო ის სრულად მოესპო ნაცისტურ პერიოდს. XX

საუკუნის 60-იანი წლებისათვის ძველი უნივერსიტეტები აღდგა და შეიქმნა მრავალი ახალი. ევროპელებს სულ უფრო ფასეული წვლილი შეჰქონდათ სოციალური მეცნიერებების განვითარებაში. საერთაშორისო სოციოლოგიური ასოციაციის პოლიტიკური სოციოლოგიის კომიტეტი, მიუხედავად იმისა, რომ მან გააერთიანა ევროპელ და ამერიკელ მეცნიერთა ძალისხმევა, ძირითადად ევროპელი მეცნიერებისგან შედგებოდა. ზეგავლენა, რომელიც ამ კომიტეტმა მოახდინა ევროპაში, შეიძლება შედარდეს როლს, რომელსაც ადრე თამაშობდა შედარებითი პოლიტიკის ამერიკული კომიტეტი. შედარებითი ევროპული კვლევები, მაგალითად, დალის, ლორუინის, დაალდერისა და როკანის ხელმძღვანელობით განხორციელებული მცირე ევროპული დემოკრატიების შესწავლის პროექტი, ხელს უწყობდა ევროპული პოლიტიკური მეცნიერების პროფესიონალიზმის განვითარებას. მიჩიგანის უნივერსიტეტის `Survey Research Center˜-მა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევროპაში საარჩევნო კვლევებში ყველაზე თანამედროვე მეთოდების განვითარების თვალსაზრისით. 60-იანი წლების დასაწყისში მათი განხორციელება დაიწყო ინგლისში, აქედან კი გავრცელდა სხვა ევროპულ ქვეყნებშიც. თითოეული ასეთი ნაციონალური არჩევნების შესწავლის დასრულების შემდეგ ქვეყანაში, სადაც ის განხორციელდა, რჩებოდა სპეციალისტთა მომზადებული კადრები, რომლებიც შემდგომშიც აგრძელებდნენ საარჩევნო კვლევებს.

პოლიტიკური კვლევის ევროპული კონსორციუმი (ECPR) 1970 წელს ფორდის ფონდის დაფინანსებით დაარსდა (Rose 1990). მისი მიზნები შეერთებული შტატების სოციალური მეცნიერების კვლევითი საბჭოს (SSRC) პოლიტიკური მეცნიერების კომიტეტების ანალოგიური იყო. კონსორციუმმა მოიძია დაფინანსება სოციალურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიაში ზაფხულის სკოლის შესაქმნელად (განთავსებული იყო ესექსის უნივერსიტეტში). სხვადასხვა ნაციონალურ ცენტრში შეიქმნა ვორქშოპები, რომლებიც ორიენტირებული იყო კონკრეტულ კვლევით თემებზე. დაიწყო აგრეთვე ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელება. კონსორციუმის მოღვაწეობა მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ შეიქმნა მონაცემთა არქივი და დაარსდა პროფესიული პერიოდული გამოცემა *The European Journal for Political Research*.

ECPR-ის წევრებად ერთიანდებოდნენ დეპარტამენტები და ინსტიტუტები. 1989 წელს მასში შედიოდა 140 წევრი დეპარტამენტი. 1985 წელს ევროპული პოლიტიკური მეცნიერების ცნობარში ჩამოთვლილია მისი 2500 წევრი. პოლიტიკური მეცნიერების სიძლიერე ცალკეულ ევროპულ ქვეყანაში განისაზღვრება ECPR-ის წევრი სამეცნიერო ცენტრების რაოდენობით. 1989 წელს მასში შემავალი 140 წევრიდან 40 დიდ ბრიტანეთში იყო, 21 - გერმანიაში, 13 - ნიდერლანდში, 11 - იტალიაში და 5 საფრანგეთში (Rose 1990: 593). ამერიკული პოლიტიკური მეცნიერების გავლენა ევროპულ და საერთაშორისო პოლიტიკურ მეცნიერებაზე გარკვეულწილად აისახა პოლიტიკური მეცნიერების ამერიკულ ასოციაციაში უცხოელი წევრების რაოდენობრივი მაჩვენებლებით და, შესაბამისად, ჟურნალის *American Political Science Review* ხელმომწერთა რაოდენობით. დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა და იაპონიაში, თითოეულ ქვეყანაში, წევრთა რიცხვი ასზე მეტია; ისრაელში, სამხრეთ კორეაში, ნიდერლანდებში _ დაახლოებით ორმოცდაათი; ნორვეგიაში, შვედეთსა და ტაივანში _ 30, საფრანგეთში _ 27 (APSA 1994: 327 ff).

1990-იანი წლებისათვის პოლიტიკური მეცნიერების საერთაშორისო ასოციაციაში, სხვადასხვა ნაციონალურ და სუბნაციონალურ ორგანიზაციებში გაერთიანებული და ასევე მრავალ სხვადასხვა მოქმედ სპეციალიზაციაში პოლიტიკური მეცნიერების პროფესია, ზოგადად მეცნიერებასთან ერთად, საფუძვლიანად დამკვიდრდა გლობალური მასშტაბით.

IV ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები დისციპლინის ისტორიაზე

მკვლევართა ის ნაწილი, რომელიც არ ეთანხმება პროგრესისტულ-ეკლექტიკურ მიდგომას პოლიტიკური მეცნიერების ისტორიის გაშუქებისას, შეიძლება დავყოთ ოთხ ჯგუფად. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ისინი, ვინც უარყოფს პროგრესული პოლიტიკური მეცნიერების ცნებას ანტისამეცნიერო (შტრაუსის მიმდევრები) ან პოსტსა-

მეცნიერო, დეკონსტრუქტივისტული პოზიციებიდან გამომდინარე. მეორე ჯგუფს შეადგენენ ისინი, ვინც უარყოფს ჩვენი მიდგომის ეკლექტიზმს. მათ შორის არიან მარქსისტები და ნეომარქსისტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ადამიანთა საზოგადოების ძირითადი კანონები აღმოჩენილია მარქსისა და მისი მიმდევრების მიერ და ამ კანონებმა აჩვენა, რომ ისტორიული, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროცესები ისევე, როგორც ადამიანური ქმედება, რომლითაც ეს პროცესები ხორციელდება, განუყოფელი ერთობაა. ამდენად, მარქსისტები გამოდიან ჩვენი მიდგომის პროგრესულობისა და ეკლექტურობის წინააღმდეგ. მომდევნო ჯგუფი, რომელიც ჩვენი მიდგომის მეთოდოლოგიურ ეკლექტიზმს უარყოფს, შედგება მაქსიმალისტებისგან `რაციონალური არჩევანის~ კონცეფციის მიმდევარ პოლიტიკის მკვლევართა წრიდან, რომელთა შეხედულება პოლიტიკური მეცნიერების ისტორიის შესახებ კულმინაციას აღწევს რედუქციონისტული მიმართულების მშრალ ფორმალურ-მათემატიკურ სქემებში.

ა. ანტიმეცნიერება

პოლიტიკური მეცნიერების ისტორიის შტრაუსისეული ვერსია სათავეს იღებს გერმანიაში გაჩაღებული ინტელექტუალური პოლემიკიდან XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში. ახალგაზრდა დოქტორი ლეო შტრაუსი პირველი მსოფლიო ომის მომდევნო წლებში იზიარებდა საყოველთაო აღტაცებას მაქს ვებერით, `ინტელექტუალური პატიოსნებისადმი მისი უდრეკი ერთგულების,... მეცნიერების სამსახურის იდეისადმი მისი მხურვალე ერთგულების გამო...~ (Strauss 1989: 27). თუმცა ფრაიბურგიდან დაბრუნებული, სადაც 1922 წელს მან მოისმინა ჰაიდეგერის ლექციები, ლეო შტრაუსი აღწერს ვებერით ღრმა იმედგაცრუებას და გადასვლას ჰაიდეგერის ეგზისტენციალიზმზე. ცდილობდა რა გადაელახა ჰაიდეგერის პესიმიზმი `ყოფიერების~ ბუნებასთან დაკავშირებით, ის გადაიხარა პოზიტიური პოლიტიკური ფილოსოფიისკენ და შეეცადა იქ მოეძია პასუხები კითხვებზე სამართლიანი საზოგადოებისა და გონივრული პოლიტიკის

შესახებ. ის ვარაუდობდა, რომ საჭიროა პოლიტიკურ ფილოსოფიაში შემობრუნება კანონიკურად ქცეული დიადი მაგალითებისკენ, დიალოგისა და აწონ-დაწონილი გადაწყვეტილების პრაქტიკისკენ, ასევე სანიმუშო და პასუხიმგებლობის გრძნობის მქონე სამოქალაქო ელიტების აღზრდისკენ.

შტრაუსის შეხედულებით, ვებერი სადავო ინტელექტუალური ფიგურა იყო, რომელმაც ლეგიტიმური გახადა თანამედროვე პოზიტივისტური სოციალური მეცნიერების არსებობა, ფაქტისა და ფასეულობის განცალკევება, `ეთიკური ნეიტრალიტეტი~, მისწრაფება `ფასეულობისაგან თავისუფლებისაკენ~. შტრაუსი ვებერს მიაწერს იმის რწმენას, რომ ფასეულობათა შესახებ წარმოქმნილი ნებისმიერი კონფლიქტი გადაუწყვეტელია. `რწმენა იმისა, რომ ღირებულებათა შესახებ მსჯელობა არ შეიძლება იყოს რაციონალური ანალიზის საგანი, ასაზრდოებს უპასუხისმგებლო მტკიცებებისაკენ მიდრეკილებას, სწორის და მცდარის ან კარგისა და ცუდის შესახებ. ადვილია სერიოზულ საკითხებზე სერიოზული დისკუსიისთვის თავის არიდება მარტივი ხერხით _ მათი მიკუთვნებით ფასეულობათა რიგის პრობლემებისადმი~. ობიექტურობის ეს ძიება იწვევს `მორალური შეფასებებისაგან გათავისუფლებას... მორალურ სიყრუეს... . ფასეულობითი შეფასების გარეშე ადამიანური ან სოციალური პრობლემების განხილვის ჩვეულება ნებისმიერ პრიორიტეტზე უარყოფით გავლენას ახდენს. რაც უფრო სერიოზულნი ვართ, როგორც მკვლევრები, სოციალური მეცნიერების დარგში, მით უფრო ძლიერად ვითარდება ჩვენში გულგრილობა ამა თუ იმ მიზნისადმი და ჩვენ უბრალოდ დინებას მივყვებით იმ მდგომარეობისაკენ, რომელსაც შეიძლება ნიჰილიზმი ეწოდოს”.

ოდნავ ქვემოთ ის ამ დებულებას შემდეგი სახით აყალიბებს: `სოციალური მეცნიერების პოზიტივიზმი მიდის არა იმდენად ნიჰილიზმამდე, რამდენადაც კონფორმიზმამდე და ფილისტიმელობამდე~ (Strauss 1959: 21 ff.).

ვებერზე შეტევა შტრაუსმა და მისმა მიმდევრებმა თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებზეც განავრცეს, განსაკუთრებით კი `ბიჰევიორისტულ~ ტენდენციებზე თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში, რომელზეც, როგორც ფიქრობენ, ვებერმა დიდი ზეგავლენა მოახდინა.

ვებერის `პოზიტივისტური~ სოციოლოგიის საპირისპიროდ, შტრაუსმა წარმოადგინა `ჰუმანისტური სოციალური მეცნიერების~ მოდელი, ღრმა და მძაფრი პოლემიკით პოლიტიკის დიდ ფილოსოფოსებთან, პოლიტიკის ფუძემდებლური იდეებისა და იდეალების, სამართლიანობის, თავისუფლების, მოვალეობისა თუ სხვათა, განხილვისას. პოლიტიკური მეცნიერების განვითარების ხაზი, რომელსაც გვთავაზობენ შტრაუსის მიმდევრები აქ წარმოდგენილის სანაცვლოდ, თანამედროვე `ბიჰევიორისტულ~ პოლიტიკურ მეცნიერებას ახასიათებს, როგორც ერესის ნაყოფს, რომელმაც ჩამოყალიბება დაიწყო XIX საუკუნეში და საბოლოო სახე მიიღო მაქს ვებერის ნაშრომებში საუკუნეთა მიჯნაზე.[22]

ამგვარი დახასიათება, ერთი მხრივ, ვებერისა, როგორც არხიპოზიტივისტისა, რომელიც ერთმანეთისგან აცალკევებს ფაქტსა და ფასეულობებს, სხვა მხრივ კი, `ბიჰევიორისტული~ პოლიტიკური მეცნიერისა, რომელიც `ეთიკური ნეიტრალიტეტის~ მცდარი კურსის მიმდევარია, არამართებულია, როგორც ვებერთან მიმართებაში, ასევე ე.წ. ბიჰევიორისტული პოლიტიკური მეცნიერების თანამედროვე პრაქტიკოსების უმრავლესობასთან დაკავშირებითაც. ვებერის შეხედულება `ფაქტისა და ფასეულობის~ უერთიერთმიმართებაზე გაცილებით უფრო რთულია და მოითხოვს ფასეულობათა პრობლემის უფრო ღრმა გააზრებას, განსხვავებით იმ კარიკატურისგან, რომელსაც წარმოადგენენ თავიანთ ნაშრომებში შტრაუსი და მისი მოწაფეები. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ორ კონტექსტზე, რომელთა ფარგლებში ვებერი აყალიბებს ამ საკითხების საკუთარ გაგებას: ლექციაზე `პოლიტიკა, როგორც მოწოდება~ (1949) და ესეზე `ობიექტურობა სოციალურ მეცნიერებაში~ (1958). ლექციაში `პოლიტიკა, როგორც მოწოდება~, ვებერი ლაპარაკობს ეთიკურად ორიენტირებული პოლიტიკური ქმედების ორ სახეობაზე _ აბსოლუტური მიზნების და პასუხისმგებლობის ეთიკაზე (*Gesinnungsethik und Verantwortungsethik*). მეცნიერება ბევრს ვერაფერს შესძენს აბსოლუტური მიზნების ეთიკას, ის მხოლოდ მიზნებ-

[22] ამ პოზიციის სრულად შეფასებისათვის, იხ.: Storing 1962 და დებატები ჟურნალში *American Political Science Review* (Schaar and Wolin 1963; Storing *et al*. 1963).

თან საშუალებების შესაბამისობას თუ განიხილავს. ვინაიდან არჩეული მიზანი საკრალური ან აბსოლუტურია, შეუძლებელია პოლიტიკური ქმედების შესაძლებლობა-საფასურის ანალიზი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება გაირკვეს, თუ როგორ გავლენას მოახდენს მოცემული პოლიტიკური არჩევანი ან ქმედება, ერთი მხრივ, დასახული მიზნის გარდაქმნაზე, მეორე მხრივ კი, როგორ შეუშლის ხელს სხვა შესაძლებელ არჩევანს. `ამ გზით, _ ამბობს ვებერი, _ ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ შანსები, თუ რამდენად შეიძლება გარკვეული საშუალებების დახმარებით... გარკვეული მიზნის მიღწევა. შეგვიძლია გავაკრიტიკოთ... საკუთრივ მიზნის დასახვა, როგორც პრაქტიკულად გააზრებულის... ან გაუაზრებლისა არსებულ პირობებში~ (1949: 152). ვებერი წინ წამოსწევს არგუმენტს, რომ საშუალებებმა შეიძლება გაუთვალისწინებელი გავლენა მოახდინონ მიზნებზე და წერს (Weber 1958: 152):

`ჩვენ შეგვიძლია პასუხი გავცეთ კითხვას: რა `ფასად~ იქნება მიღწეული დასახული მიზანი იმის გათვალისწინებით, თუ რა სავარაუდო დანაკარგები იარსებებს სხვა ფასეულობებისთვის. ვინაიდან შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში ნებისმიერი მიზანი მიიღწევა ამ `საფასურად~... ადამიანს, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, არ შეუძლია იმის უგულებელყოფა, თუ როგორი იქნება გარკვეულ ქმედებათა მიზნებისა და შედეგების შეფარდება... [მეცნიერებას შეუძლია მავანს] გააცნობიერებინოს, რომ ნებისმიერი ქმედება და ბუნებრივი... უმოქმედობა, საბოლოოდ, დაიყვანება გარკვეული ფასეულობითი პოზიციის დაკავებამდე, და... რაც ხშირად აქედან გამომდინარეობს, ეს გულისხმობს ზოგიერთი სხვა ფასეულობის უარყოფას~.

მიზნებისა და შედეგების ორმხრივ ანალიზთან ერთად, ვებერი დასძენს (1958: 152), რომ მეცნიერებას შეუძლია დახმარება გაგვიწიოს ჩვენი მიზნების გამოაშკარავებაში და მათი მნიშვნელობის გარკვევაში. `ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ ლოგიკურად და თანმიმდევრულად, იმ `იდეების~ გამოვლენით და განვითარებით, რომლებიც კონკრეტული მიზნის საფუძველში დევს. ნათელია, რომ კულტურული ცხოვრების შემსწავლელი ნებისმიერი მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა იმ `იდეების რაციონალურ გაგებამდე მიღწევაა, რომლებისთვისაც ადამიანები... იბრძვიან~.

“...თუმცა, აგრძელებს ვებერი (1958: 152), ღირებულებითი შეფასების სამეცნიერო განხილვის შედეგი შეიძლება იყოს არა მხოლოდ სასურველი მიზნებისა და იმ იდეალების გაგება და ემფატიკური ანალიზი, რომლებიც მათ საფუძველში დევს, არამედ კრიტიკული ანალიზიც.˜ მათი შინაგანი თანმიმდევრულობის მიხედვით. `... ამ ძირითადი სტანდარტების გამოაშკარავება, არის ის მაქსიმუმი, რისი მიღწევაც შეუძლია ფასეულობითი განსჯისადმი მეცნიერულ მიდგომას თეორიული ვარაუდების სფეროში შეჭრის გარეშე... ემპირიული მეცნიერება ვერაფერს იტყვის იმის თაობაზე, თუ რა უნდა გააკეთოს მან. მას შეუძლია მხოლოდ მიუთითოს, თუ რისი გაკეთება ძალუძს და, გარკვეულ გარემოებებში, რისი გაკეთება სურს.˜

ფაქტისა და ფასეულობის პრობლემატიკის ვებერისეული ფორმულირება ისევე დაშორებულია შტრაუსისეული კარიკატურისგან, როგორც მისი თანამედროვე ემპირიული სოციალური მეცნიერების განმარტებისგან. აქედან გამომდინარე, ჩვენ უარვყოფთ შტრაუსისეულ შეხედულებას დისციპლინის ისტორიაზე. მეორე მხრივ, ჩვენ ჩავრთავთ პოლიტიკის თეორეტიკოსების ბევრ არსებით ნაშრომს, გავითვალისწინებთ თავად შტრაუსსაც, აქ წარმოდგენილ პროგრესისტულ-ეკლექტიკურ განხილვაში. მათ გააფართოეს პოლიტიკის შესახებ ლოგიკურად გამოტანილი დასკვნები უტყუარი მონაცემების საფუძველზე.

ბ. პოსტმეცნიერება, პოსტბიჰევიორიზმი

თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებს შორის დისციპლინის ისტორიის შესახებ მიღებულია და ალბათ დომინირებს კიდეც თვალსაზრისი, რომ ჩვენ ამჟამად გავდივართ `პოსტპოზიტივისტურ, პოსტსამეცნიერო, პოსტბიჰევიორისტულ ფაზას˜. საქსონჰაუზი (Saxonhause 1993: 9) საუბრობს პოზიტივიზმის დაცემაზე და შემოწმების აუცილებლობაზე. ნორმატიული დისკურსის აღორძინების პირობებში ეს არის ერთადერთი შესაძლო ფილოსოფიური მიდგომა ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის საზოგადოებაში, რომელიც შეშფოთებულია საფრთხეებით, რომლებსაც გულისხმობს მეცნიერების მუდმივი განვითა-

რება... ზოგადად პოლიტიკის მკვლევრები და, განსაკუთრებით, პოლიტიკის თეორეტიკოსები აღარ აპირებენ კვლავაც უკრიტიკოდ უერთგულონ ფაქტისა და ფასეულობის აუცილებელ განსხვავებას, როგორც ეს გაბატონებული იყო სოციალურ მეცნიერებებში თაობათა მანძილზე~.

პოლიტიკურ მეცნიერებაში მცირე სუბდისციპლინა, რომელიც სპეციალიზებულია `პოლიტიკური მეცნიერების ისტორიაში~, აგრძელებს ამ თემას. დევიდ რიჩი 1984 წელს გამოქვეყნებულ წიგნში *პოლიტიკური მეცნიერების ტრაგედია* (Ricci 1984), ამტკიცებს, რომ პოლიტიკური `მეცნიერების~ გულუბრყვილო რწმენამ, რომელიც აღმოცენდა ამერიკულ პოლიტიკურ მეცნიერებაში 1920_60-იან წლებში, მთლიანი დისკრედიტაცია განიცადა 60-70-იანი წლების არეულობებისას. ის ასკვნის, რომ პოლიტიკური მეცნიერება, როგორც ემპირიული მეცნიერება, რომელიც არ ეფუძნება სისტემურად მორალურ თუ ეთიკურ ფასეულობებსა და ალტერნატივებს და არ უკავშირდება პოლიტიკურ ქმედებას, განწირულია. პოლიტიკურმ მეცნიერებას შეუძლია დაიკავოს რომელიმე კონკრეტული პოზიცია ან გახდეს კვლევის `ზუსტი~ და არარელევანტური სფერო. რაიმონდ სეიდელმანი (Seidelman 1985) კიდევ უფრო მკაცრი ფორმით უარყოფს პოლიტიკური მეცნიერების პროფესიონალიზმს და აღნიშნავს: თანამედროვე პოლიტიკურმა მეცნიერებამ ხელი უნდა შეუწყოს ცოდნისა და ქმედების ურთიერთდაკავშირებას, `თუ [ეს პროფესიული] ცდომილებები უნდა გარდაიქნას ახალ დემოკრატიულ რეალობებად~.

პოლიტიკური მეცნიერების "იდენტურობისა" და ისტორიის შესახებ აზრთა ურთიერთგაცვლა გასულ ათწლეულში გადმოცემულია ადა ფინიფტერის ნაშრომი *პოლიტიკური მეცნიერება: დისციპლინის მდგომარეობა* (Finifter 1983; 1993). პირველ გამოცემაში, ჯონ განელმა (Gunnel 1983: 12ff.) წარმოადგინა ნახევარი საუკუნის განმავლობაში, 20-იანი წლებიდან 70-იან წლებამდე, `სამეცნიერო~ რევოლუციით ნიშანდებული პოლიტიკური მეცნიერების ისტორიის სურათი, რომელსაც მოჰყვა `პოსტემპირიცისტული~ პერიოდი, დღემდე რომ გრძელდება. მეორე გამოცემაში არინ საქსონჰაუზი (1993) შენიშვნებს აკეთებს ზემოთ ნახსენები `ბიჰევიორალიზმის~ დასასრულის შესახებ. ორ გა-

მოცემას შორის არსებულ ინტერვალში გაგრძელდა შეხედულებათა გაცვლა ჟურნალში *American Political Science Review-ში* პოლიტიკური მეცნიერების მრავალ ისტორიკოსს შორის. 1988 წლის დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში, `ისტორია და დისციპლინა პოლიტიკურ მეცნიერებაში~ ჯონ დრაიზეკი და სტეფენ ლეონარდი (Dryzek and Leonard 1988: 1256) წერენ:

`დისციპლინარული იდენტურობების შეფასების, უარყოფის ან მიღებისას, არ არსებობს ნეიტრალური პოზიცია. სტანდარტები შეიძლება წარმოიქმნას ძიების, ტრადიციებს შორის კონფლიქტებისა და დებატების დროს. სწორედ ამ კონფლიქტებისა და დებატების საფუძველზე ყალიბდება მიმართება დისციპლინის ისტორიასა და იდენტურობას შორის... პლურალიზმი უფრო მეტად არსია, ვიდრე წინაღობა პოლიტიკური მეცნიერების პროგრესისათვის.~

ამ თვალსაზრისის მიხედვით, დისციპლინის ისტორია იმდენივე არსებობს, რამდენიც `დისციპლინური იდენტურობები~ და შეუძლებელია გამოინახოს `ნეიტრალური~ გზა მათ შორის არჩევანის გასაკეთებლად.

პოლიტიკური მეცნიერების ისტორიის ამგვარ პლურალისტულ მიდგომას ეხმიანება ნაშრომი ზოგადი სახელწოდებით: *შეიძლება თუ არა პოლიტიკური მეცნიერების ისტორია ნეიტრალური იყოს?* (Dryzek *et al.* 1990). ჯეიმს ფარის, ჯონ განელისა და რაიმონდ სეიდელმანის სტატიებს გამოეხმაურნენ დრაიზეკი და ლეონარდი. დისციპლინის ისტორიის `პლურალისტულ~ ხედვას, რომელიც აისახა დრაიზეკთან და ლეონარდთან მხარს უჭერენ. ჯეიმს ფარი, ჯონ განელი და რაიმონდ სეიდელმანი, ასე თუ ისე, სტატიებისა და მოხსენებების ორ უახლეს კრებულში, რომელიც პოლიტიკური მეცნიერების ისტორიას შეეხება, ჯონ ფარი და მისი თანამოაზრეები(Farr and Sedelman 1993; Dryzek, Farr and Leonard 1995) პლურალისტული მიდგომის სისტემატიზაციას ცდილობენ.

ამ დისკუსიებიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ პოლიტიკური მეცნიერების თანამედროვე ავტორებს შორის მაინც შედგა `დესტრუქციონისტული, პოსტმოდერნისტული~ კონსენსუსი, რომლის მიხედვითაც არ არსებობს პოლიტიკური მეცნიერების პრივილე-

გირებული კრიტერიუმი. იმ დროს, როდესაც პოლიტიკური მეცნიერების ისტორიის თითოეული უმთავრესი თანამედროვე სკოლა _ ე.წ. `ბიჰევიორისტული~ ან პოლიტიკური `სამეცნიერო~ პერსპექტივა, ანტისამეცნიერო თუ პოსტსამეცნიერო პერსპექტივები, მარქსისტული თუ რაციონალური არჩევანის მიდგომები _ პრეტენზიას აცხადებს დისციპლინის ისტორიისადმი საკუთარი მიდგომის ვალიდურობაზე, კონსენსუსის მომხრენი თვლიან, რომ არც ერთი მათგანი არაა ვალიდური. პოლიტიკური ცოდნის ზრდისადმი ჩვენი მიდგომა განისაზღვრება, როგორც სანდო მონაცემთა სულ უფრო მზარდი მოცულობის საფუძველზე ლოგიკური დასკვნების გამოტანის უნარი. ის, რასაც პოლიტიკური მეცნიერების ეს `ისტორიკოსები~ `ნეოპოზიტივიზმს~ უწოდებენ, შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ერთ-ერთ მიდგომად სხვა მრავალს შორის და შეუძლებელია, რომელიმეს ჰქონდეს განსაკუთრებული პრეტენზია ვალიდურობაზე.

ჩვენი მიდგომა ამ თავში ისტორიული პოზიციიდან წინ წამოწევს და აჩვენებს, რომ მაინც არსებობს ჩვენი დისციპლინის ისტორიის `პრივილეგირებული~ ვერსია. და ეს არის პროგრესული, რაც იზომება მონაცემებსა და დასკვნებზე დაფუძნებული ცოდნის ზრდით. მასში უნდა შევიდეს ურთიერთდაპირისპირებული სკოლების შემოქმედება, რამდენადაც ისინი შეესაბამება ამ სტანდარტებს, ამავდროულად უნდა გამოირიცხოს გადაუმოწმებელი მტკიცებულებები და დებულებები, ეს გამორიცხავს იმ მტკიცებულებებსა და ვარაუდებს, რომლებიც არ ემყარება მონაცემებს, ანდა ვერ შემოწმდება ფაქტებითა და ლოგიკური ანალიზით. ამდენად, ობიექტური და მკაცრი სამეცნიერო კვლევა ჩვენი დისციპლინის ისტორიის პრივილეგირებული მიმართულებაა.

გ. ინტეგრალიზმი და მაქსიმალიზმი: ანტიპლურალიზმი

1. თეორია და პრაქტიკა

არსებობს რამდენიმე სკოლა, რომლებიც პოლიტიკური მეცნიერების ისტორიაში `ობიექტური~ კვლევის წინააღმდეგ გამოდიან. ისინი ეყრდნობიან მოსაზრებას, რომ ობიექტურობის მიღწევა შეუძლებელია, რასაც `სიენტიზმამდე~ და სტატუს კვოს შენარჩუნებამდე მივყავართ. ამ თვალსაზრისით, პროფესიული ობიექტურობის მიღწევის ნებისმიერი მცდელობა თავიდანვე განწირულია წარუმატებლობისათვის. ამდენად, მეცნიერმა უნდა აირჩიოს რომელიმე პოლიტიკური პოზიცია და, მეცნირება შეგნებულად გამოიყენოს კეთილშობილური პოლიტიკური მიზნებისათვის. სხვადასხვა ნეომარქსისტული სკოლისათვის ეს გულისხმობს კვლევის გამოყენებას სოციალიზმის მიზნებისათვის.

მარქსისტული მეცნიერების ისტორიაში იყო მომენტი, როდესაც ამ ტრადიციის ერთ-ერთმა მიმართულებამ უარყო კვლევის დიალექტიკური მეთოდი. კარლ მანჰეიმი ნაშრომში *იდეოლოგია და უტოპია* (Manheim 1949) ასკვნის, რომ ობიექტურობა პოლიტიკურ მეცნიერებაში შესაძლებელია. `კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა პოლიტიკური მეცნიერების არსებობა და მისი სწავლება, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დადებითი პასუხი უნდა გაეცეს.~ მანჰეიმის აზრით, მაქს ვებერმა წარმოაჩინა, რომ სოციალურ მეცნიერებებში ობიექტური კვლევა შესაძლებელია (Mannheim 1949: 146). თუმცა, იმის მიუხედავად, რომ მანჰეიმისთვის ობიექტურობა შესაძლებელია, ამის უნარი შეიძლება განვითარდეს მხოლოდ `იმ სოციალურ ფენაში, რომელიც შედარებით თავისუფალია კლასობრივი კუთვნილებისაგან და რომლის პოზიციებიც მყარი არ არის საზოგადოებრივ წყობაში... კლასობრივი კუთვნილებისაგან შედარებით თავისუფალი ამგვარი ფენა, ალფრედ ვებერის ტერმინოლოგიით, `სოციალურად მიუმხრობელი ინტელიგენციაა~ (1949: 171). თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების კვლევაში მანჰეიმის `მიუმხრობელ ინტელიგენციას~ ჩაენაცვლა `პროფესიონალიზმი~, როგორც ობიექტურობის ძიების ვალდებულების გარანტი. პროფესიონალიზმი ამ შემთხვევაში გულისხმობს პროფესიული ასოციაციებისადმი კუთვნილებას, ერთმანეთის პროფესიულ აღიარებას, ახალგაზრდა მკვლევართა მოღვაწეობის ერთობლივ მეთვალყურეობას და ა.შ. იმ დროს, როდესაც ვებერმა და მანჰეიმმა წარმოადგინეს საკუთარი იდეები, პროფესიული ასოციაციები სოცი-

ალურ მეცნიერებებში და, კერძოდ, პოლიტიკურ მეცნიერებასა და სოციოლოგიაში, ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო. ამ მხრივ ინტერესს იწვევს, რომ თანამედროვე ნეომარქსისტებისა და სხვა `მემარცხენე~ კრიტიკოსების სამიზნედ სწორედ პროფესიონალიზმით ობიექტურობის ძიება რჩება.

პოლემიკა `ეთიკური ნეიტრალიტეტისა~ და `ობიექტურობის~ წინააღმდეგ რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს. ფრანკფურტის სკოლამ ჩამოაყალიბა `კრიტიკული თეორია~. სულისჩამდგმელი ამ თეორიისა იყო მარქსისტი თეორეტიკოსი ლუკაჩი, შემდგომში კი იდეები განავითარეს მაქს ჰორკჰაიმერმა, თეოდორ ადორნომ, ჰერბერტ მარკუზემ და მოგვიანებით, იურგენ ჰაბერმასმა. ეს მიმართულება განიხილავს პოლიტიკური ძიების ქცევას, როგორც სოციალური ცვლილებების პროცესის საყოველთაო სიტუაციის ასპექტს. პოზიტივისტებმა, ცდილობდნენ რა გაეაზრებინათ, რომ შემეცნების პროცესი არ შეიძლება გაიმიჯნოს კაცობრიობასა და სამყაროს შორის ისტორიული ბრძოლისგან, წარუმატებლობა განიცადეს. თეორია და თეორიული ძიება სოციალური ცხოვრების პროცესების განუყოფელი ნაწილი გახდა. თეორეტიკოსს არ შეუძლია დარჩეს გამოყოფილ, პასიურ დამკვირვებლად, რომელიც მხოლოდ განჭვრეტს, ასახავს და აღწერს `საზოგადოებას~ ან `ბუნებას~ (Held 1980: 162 ff.).

ჰაბერმასი ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ფორმულირებაში (Habermas 1992: 439 ff.) კვლავ წარმოაჩენს თეორიისა და `პრაქტიკის~ ამგვარ ერთობას. XX საუკუნის 70-80-იან წლებში ამ თვალსაზრისმა, `დამოკიდებულების თეორიის~ სახელწოდებით, დიდი ზეგავლენა მოახდინა ლათინოამერიკულ, აფრიკულ და სხვა რეგიონულ კვლევებში, (Pakcenham 1992).

როგორ შეიძლება შეფასდეს მარქსისტული და ნეომარქსისტული კვლევები ამ თავში წარმოდგენილი პოლიტიკური მეცნიერების ისტორიის პროგრესულ-ეკლექტიკური მიდგომიდან გამომდინარე? ამ ტიპის ლიტერატურა საკმაოდ მრავალრიცხოვანია. დაწერილია ასეულობით მონოგრაფია და ურიცხვი რაოდენობით სტატია. ზოგიერთი ასეთი ნაშრომი წარმოადგენს მნიშვნელოვანი ემპირიული საფუძვლის მქონე გამოკვლევას კლასებისა და პოლიტიკის შესწავლის სფეროში,

რაც მარქსისტული და ნეომარქსისტული კვლევის პროდუქტია. მიუხედავად ამისა, რამდენადაც მარქსიზმი მთავარ ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური სტრუქტურის განმარტებით ძალაზე, ის საკმარისად არ ითვალისწინებს სხვა მნიშვნელოვან განმარტებით ცვლადებს, მაგალითად, პოლიტიკურ ინსტიტუტებს, რელიგიას, ეთნიკურობას, საერთაშორისო ვითარებას, ინდივიდების ხელმძღვანელ როლს, გაუთვალისწინებელ პირობებს და შესაძლებლობებს. მისი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია ზედმეტად გამარტივებული და პრიმიტიულია. რამდენადაც თანამედროვე ეკონომიკამ მოახდინა სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი დივერსიფიკაცია და ინტერნაციონალიზაცია, შემცირდა მარქსისტული კვლევის უნარი, გაიაზროს და ზუსტად შეაფასოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცვლადები. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მარქსისტულმა სკოლამ მნიშვნელოვნად გაზარდა და გააფართოვა ისტორიისა და სოციალურ მეცნიერებათა განკარგულებაში არსებული მონაცემები, დასკვნების ლოგიკა მცდარი იყო და, ხშირად, ადვილად გასაყალბებელი. ერიკ ჰობსბაუმმა (Hobsbawm 1962; 1987; 1994) და სხვა მარქსისტმა ისტორიკოსებმა (Hill 1982; Hilton 1990; Thomson 1963) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს XIX საუკუნისა თუ უფრო ადრეული საუკუნეების კვლევაში. თუმცა ისინი დიდ სიძნელეებს წააწყდნენ, როდესაც XX საუკუნის მოვლენების ახსნას ცდილობდნენ (Judt 1995).

2. მეცნიერული მაქსიმალიზმი: რაციონალური არჩევანის მიდგომა

რაციონალური არჩევანის მიდგომა, რომელიც ზოგჯერ `ფორმალურ თეორიად~, `პოზიტიურ თეორიად~ ან `საზოგადოებრივი არჩევანის თეორიად~ და "კოლექტიური არჩევანის თეორიად" მოიხსენიება, ძირითადად, ეკონომიკიდან პოლიტიკურ მეცნიერებაში არაპირდაპირ შეღწევას გულისხმობს. ეკონომიკურ მეტაფორებს იყენებდნენ პოლიტიკის მკვლევრები პენდლტონ ჰერინგი, ვ.ო. კი უმცროსი და ელ-

მერ შტატსშნაიდერი (Almond 1991: 32 ff). თუმცა პირველად სწორედ ეკონომისტებმა - კენეტ არროუმ, ენტონი დაუნსმა, დანკან ბლეკმა, ჯეიმს ბიუქენენმა, გორდონ ტალოკმა და მანკურ ოლსონმა _ მიუსადაგეს ეკონომიკური მოდელები და მეთოდები პოლიტიკური თემების ანალიზს, მაგალითად, არჩევნებს, კენჭისყრას კომიტეტებსა და საკანონმდებლო ორგანოებში, ინტერესთა ჯგუფის თეორიას და სხვა.[23] *პოლიტიკური მეცნიერების* 1993 წლის გამოცემაში, თავში `დისციპლინის მდგომარეობა~, რომელიც ეხება `ფორმალური რაციონალური არჩევანის თეორიას~, აღწერილია ეს მიდგომა, როგორც `კუმულაციური პოლიტიკური მეცნიერების~ შექმნის პირობა. ავტორები ამტკიცებენ, რომ `რაციონალური არჩევანის თეორიამ ფუნდამენტურად შეცვალა წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვითარდეს დისციპლინა პოლიტიკისა და სტუდენტთა მომზადების თვალსაზრისით~ (Lalman *et al.* 1993).

ეს მიდგომა გვთავაზობს ერთგვარ მიმოხილვას გაერთიანებული, კუმულაციური პოლიტიკური მეცნიერების თეორიისა, რომელიც სოციალური მეცნიერების ერთიანი ფორმალური თეორიის ნაწილია და ეფუძნება ეკონომიკსიდან გადმოღებულ საერთო აქსიომებსა და დებულებებს. ამ დებულებების მიხედვით, ადამიანი რაციონალური არსებაა, ზრუნავს უახლოეს მომავალზე და საკუთარი მატერიალური ინტერესების მაქსიმიზაციაზე. ამ მიდგომის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ამგვარი ვარაუდების საფუძველზე შესაძლებელია ჰიპოთეზების ჩამოყალიბება ადამიანური მოღვაწეობის ნებისმიერი სფეროს შესახებ _ მაგალითად, თუ რა უნდა შევიძინოთ და რამდენი გადავიხადოთ საამისოდ, ვის მივცეთ ხმა, ვიზე ვიქორწინოთ და რამდენი ბავშვი ვიყოლიოთ, ან თუნდაც, როგორ წარმართონ მოლაპარაკებები პოლიტიკურმა პარტიებმა და როგორ შექმნან კოალიციები, როგორ შეთანხმდნენ ნაციები ალიანსების შექმნაზე და ა.შ. თეორია ლაკონიურია, ლოგიკურად თანმიმდევრული, მათემატიკური და ჰიპოთეზების შე-

[23] Arrow 1951; Downes 1957; Black 1958; Buchanan and Tullock 1962; Olson 1965.

მოწმებისათვის უპირატესობას ანიჭებს ექსპერიმენტულ მეთოდებს, დაკვირვებასა და ინდუქციასთან შედარებით.

ეს მიდგომის მაქსიმალისტური ვერსიაა, იგი განხილულია შემდეგ ნაშრომებში: ზემოთ მოხსენიებული *დისციპლინის მდგომარეობა, II* ტომი (Lalman *et al. 1993*), პიტერ ორდენშუკის *პოლიტიკური ეკონომიის ჩამოყალიბებადი დისციპლინა* (Ordenshook 1990), უილიამ რაიკერის *პოლიტიკური მეცნიერება და რაციონალური არჩევანი* (Riker 1990), მანკურ ოლსონის *ეკონომიკისა და სხვა სოციალური მეცნიერებების ერთიანი ხედვისკენ* (Olson 1990) და სხვა. ამ მიდგომის თანახმად, არსებობს წყვეტა პოლიტიკური მეცნიერების ისტორიაში და ყველაფერი, რაც ადრე მოხდა, განხილულია, როგორც წინა-მეცნიერული. დისციპლინის მომავლის მათეული ვერსიით, ის არის ფორმალური თეორიის კუმულაციური ერთიანობა, რომელიც შინაგანად ლოგიკურია, თანმიმდევრული და ძალუძს, ახსნას პოლიტიკური რეალობა აქსიომებისა და დებულებების შედარებით მცირე რაოდენობის საფუძველზე.

ამ მიმდინარეობის ზოგიერთი გამოჩენილი მიმდევარი არ იზიარებს მაქსიმალისტურ განწყობებს. ისეთ საკითხთან დაკავშირებით, როგორიცაა სარგებლიანობის შინაარსი, ზოგიერთი ეკონომისტი უარყოფს ეკონომიკური ადამიანის, როგორც რაციონალური, საკუთარ მატერიალურ გამორჩენაზე მზრუნველი არსების მოდელს. დიდი ხნის წინ მილტონ ფრიდმანმა (Friedman 1953) დაიკავა პოზიცია, რომ მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად სწორია ვარაუდი, თუკი ის ვალიდურ პროგნოზს იძლევა. ვიდრე ეს დადებითი შედეგის მომტანია, შესაძლოა ევრისტიკულ ფუნქციასაც ასრულებდეს, სხვადასხვა ვერსიათა სარგებლიანობის შემოწმებაში. საინტერესოა, რომ რაციონალური არჩევანის პოლიტიკური თეორიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ენტონი დაუნსმა დიდი ხანია უარი თქვა იმ თვალსაზრისზე, რომ პოლიტიკური ადამიანის მოდელი ეკონომიკური ადამიანის მოდელს უნდა ეფუძნებოდეს. ამჟამად დაუნსი სოციალური ფასეულობებისა და დემოკრატიის საკითხებზე მუშაობს. იგი შეისწავლის პოლიტიკური ინსტიტუტების მნიშვნელობას პოლიტიკური არჩევანის განსაზღვრისას, ელიტებისა და მოქალაქეების პოლიტიკური სოციალიზაციის მნიშვნელობას

პოლიტიკური ინსტიტუტების გამოყენებასა და დახვეწაში (Downs 1991). ამ მიმდინარეობამ, მისი რედუქციონისტული სტრატეგიის გამო, თავის დროზე კავშირი გაწყვიტა ინსტიტუტებთან, ამჟამად კი მის წევრ პრაქტიკოს მკვლევართა უმრავლესობა ინსტიტუტების ძიებაშია.

რობერტს ბეიტსი (Bates 1990), რომელმაც პირველმა გამოიყენა რაციონალური არჩევანის თეორია განვითარებადი ქვეყნების შესწავლისას, ამჟამად მხარს უჭერს ეკლექტიკურ მიდგომას პოლიტიკურ ანალიზში. `ნებისმიერმა, ვინც სწავლობს სხვა კულტურებს, იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხალხების რწმენა-წარმოდგენებსა და ფასეულობებს, ასევე მათი ინსტიტუტების მახასიათებლებს……~ მას სურს პოლიტიკური ეკონომიის მიდგომა კულტურების, სოციალური სტრუქტურების და ინსტიტუტების კვლევას მიუსადაგოს. `ადამიანთა ინტერაქციისა და არჩევანის თეორიები თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის საფუძველში დევს. ამ თეორიების მთავარი ხიბლია ის, რომ ისინი გვთავაზობენ მექანიზმს ფასეულობებისა და სტრუქტურების მათ სოციალურ შედეგებთან მიზეზობრივად დაკავშირებისათვის.~

რაციონალური არჩევანის თეორიის უფრო ნაკლებად `ჰეროიკულ~ ვერსიას საკმაოდ ბევრი აქვს საერთო ე.წ. `ბიჰევიორისტულ~ პოლიტიკურ მეცნიერებასთან. ეს ამგვარადვეა დანახული პოლიტიკური მეცნიერების ისტორიის ამ ვერსიაში. მისი ფორმალური დედუქციური მიდგომა ჰიპოთეზების გამომუშავებისას სხვადასხვაგვარად გამოიყენება, თუმცა ის სულაც არ აღემატება ღრმა ემპირიული ცოდნის საფუძველზე ჰიპოთეზების შექმნის პროცესს, როგორც ზოგიერთი მისი მომხრე ცდილობს დაამტკიცოს. გრინი და შაპირო (Green and Shapiro 1994: 10) აცხადებენ, რომ ფორმალიზმი არ არის პანაცეა სოციალური მეცნიერების ყველა მანკიერებისათვის. მართლაც, ფორმალური გადმოცემა არაა ნათელი აზროვნების გარანტია. ფორმალურად მკაცრი თეორია შეიძლება იყოს არაზუსტი და ბუნდოვანი, თუკი ის არ ეფუძნება მკაფიოდ დადგენილი ემპირიული წყაროს. უფრო მეტიც, ფორმალიზაცია არ შეიძლება იყოს თვითმიზანი. მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა მკაცრი და ლაკონური იყოს თეორია, მისი სამეცნიერო ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ოსტატურად ხსნის იგი მონაცემებს.

ემპირიული ლიტერატურის კრიტიკაში, რომელიც რაციონალური არჩევანის მიდგომას ეფუძნება, გრინი და შაპირო (Green and Shapiro 1994: 10) ასკვნიან:

"შესწავლილია მხოლოდ მცირედი. ნაწილობრივ, სირთულეებს წარმოშობს ემპირიული მეთოდების გამოყენების სიმწირე. რაციონალური არჩევანის მომხრეები, თითქოსდა, ყველაზე მეტად დაინტერესებულნი უნდა იყვნენ თეორიის შემუშავებით, ისინი უნდა ცდილობდნენ სამომავლოდ გადადონ ან სულაც სხვებს გადაულოცონ ემპირიული შემოწმების შავი სამუშაო. მათი ემპირიული მარცხი, ჩვენი წარმოდგენით, მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსების მისწრაფებასთან, შექმნან პოლიტიკის უნივერსალური თეორიები. ამ მისწრაფების შედეგი, ჩვენი მტკიცებით, არის ის, რომ რაციონალური არჩევანით შთაგონებული ემპირიული სამუშაო დახუნძლულია მეთოდოლოგიური დეფექტებით.

ამ სტერილურობისაგან თავის დასაღწევად, გრინი და შაპირო ურჩევენ რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსებს, "ნუ შეეცდებიან თეორიის გადარჩენას", რასაც შედეგად მოსდევს კვლევის მეთოდის გზიდან გადახვევა. ზოგიერთი კითხულობს: როგორ შეუძლია რაციონალური არჩევანის თეორიას ახსნას X? უფრო სასარგებლო იქნებოდა, პრობლემისთვის ასე შეგვეხედა: რას ხსნის X? ეს კვლევას ბუნებრივად წარმართავდა იმ მიმართულებით, რომ დავადგენდით შესაძლებელი განმარტებითი ცვლადების შესატყვის მნიშვნელოვნებას. უეჭველია, რომ სტრატეგიული გაანგარიშება კვლევის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იქნებოდა, მაგრამ ბუნებრივია, არსებობს ბევრი სხვაც _ ქცევის ტრადიცია, ნორმები და კულტურა, ადამიანების შესაძლებლობათა შორის არსებული განსხვავება და ისტორიულ გარემოებათა შემთხვევითობა. მნიშვნელოვანია, თავი ავარიდოთ მისწრაფებას გამარტივებისაკენ, და, შესაბამისად, ყოვლისმომცველი მოდელის შექმნისაკენ, თუნდაც ამას მოჰყვეს გამოყენების არეალის შემცირება. ჩვენი რეკომენდაცია არ გულიდხმობს თეორიის ჩანაცვლებას ემპირიული სამუშაოთი. ჩვენ მხოლოდ მოვუწოდებთ თეორეტიკოსებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მონაცემებს, რათა შეძლონ ემპირიულად დასაბუთებული მონაცემების თეორეტიზება".

გრინისა და შაპიროს კრიტიკის პასუხად ფერჯონი და საცი (Ferejohn and Satz 1995: 83) აღნიშნავენ: `ერთიანობისკენ სწრაფვა და ყოვლისმომცველი განმარტებების ძიება ნებისმიერი მეცნიერების პროგრესისთვის სტიმულის მიმცემია. გრინი და შაპირო გამორიცხავენ ფილოსოფიაზე დამყარებულ უნივერსალიზმს და წარმოაჩენენ სოციალური მეცნიერების განმარტებით მისწრაფებებს. ასეთი მიდგომა ნაჩქარევია და მარცხისთვის განწირული.~ მეორე მხრივ, მორის ფიორინა (Fiorina 1995: 87), რაციონალური არჩევანის სკოლის უფრო ზომიერი, ეკლექტური ბანაკის წარმომადგენელი, გრინისა და შაპიროს კრიტიკის საპასუხოდ, ცდილობს შემლებისდაგვარად შეამციროს უნივერსალიზმისა და რედუქციონიზმის ჩარჩოები რაციონალურ არჩევანის თეორიაში. ის აღნიშნავს: `ცხადია, ვიღაცამ შეიძლება დაიმოწმოს რაციონალური არჩევანის მიმდევრები, რომლებიც, ლამის განდიდების მანიით შეპყრობილნი, ამბიციურად წერენ, პოლიტიკური ქცევის ერთიანი თეორიების შესახებ.~ თუმცა ისინი, ფიორინას თანახმად, უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენენ. რაციონალური არჩევანის მიმდევრები თავიანთი ექსტრავაგანტური განცხადებებით არაფრით განსხვავდებიან ფუნქციონალისტებისაგან, სისტემების თეორეტიკოსებისგან, სოციალურ მეცნიერებათა თუ მეცნიერების სხვა სფეროების ინოვატორებისაგან. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ორი მეცნიერი, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რაციონალური არჩევანის მიდგომაში, სრულიად სხვადასხვა პოზიციაზე აღმოჩნდეს სამეცნიერო მაქსიმალიზმის თვალსაზრისით _ ერთი იცავდეს მას, როგორც მისწრაფებას, რომლის გარეშეც სამეცნიერო პროგრესი შეუძლებელი გახდებოდა, მეორე ლამის იბოდიშებდეს მისი ქედმაღლობისათვის და იმავდროულად გამართლებას ცდილობდეს, თითქოსდა `ყველა ასე იქცევა.~

პოლემიკა იმის თაობაზე, თუ რამდენად იმედისმომცემია რაციონალური არჩევანის მიდგომა, გვიბიძგებს, რომ ამ მიმართულების მიღწევები დისციპლინის განვითარების თვალსაზრისით ჩვენს მოწინავე-ეკლექტიკურ ხედვაში ჩავრთოთ. ჩვენ უფლება გვაქვს, უარვყოთ მისი მაქსიმალისტური პრეტენზიები და შეხედულება პოლიტიკურ მეცნიერებაზე. თუმცა ანგარიშგასაწევია `მძიმე~ თუ `მსუბუქი~ მეთო-

დოლოგიური არსენალი, რომელიც შეიქმნა ფორმალური დედუქციური მეთოდის ფარგლებში. ეს საშუალებას გვაძლევს, ავხსნათ და განვმარტოთ პოლიტიკის სამყარო. ხშირად პოლიტიკურ მეცნიერებაში შეღწევას გარედან ცდილობენ, იმ არსებითი სფეროების შესახებ ცოდნის გარეშე, რომელთა ტრანსფორმაციაც სურთ. ამას უსათუოდ მოსდევს სტრატეგია, რომელშიც მეთოდი დომინირებს, ხოლო შესრულებული სამუშაო ზედაპირულია და იშვიათად პრობლემაზე ფოკუსირებული, სტრატეგია, რომელშიც ფორმალურ და დედუქციურ მეთოდებს შესაფერისი ადგილი უკავია.

დასკვნა

პოლიტიკური მეცნიერების თანამედროვე ისტორიკოსები, რომლებიც ზემოთ დავიმოწმეთ, მოგვიწოდებენ, გავიზიაროთ პოლიტიკური მეცნიერების პლურალისტული ხედვა. მეთოლოგიური პაექრობ, როგორც ისინი ამბობენ, XX საუკუნის 70-80-იან წლებში ჩიხში შევიდა. დაუნაწევრებელი, მთლიანი მეცნიერების იდეა, რომელიც ორიენტირებულია იდენტობის ფართოდ გაზიარებულ მნიშვნელობაზე, უარყოფილ იქნა. რამდენად მრავალრიცხოვანიცაა პოლიტიკური მეცნიერების ისტორიები, იმდენადვე ბევრია იდენტობის განსხვავებული მნიშვნელობა და დისციპლინაში არსებული სხვადასხვა მიდგომა. ეს მიდგომები ერთმანეთისგან იზოლირებულია, რამდენადაც არ არსებობს საყოველთაოდ გაზიარებული სამეცნიერო საფუძველი. ამ ავტორებს თუ დავეყრდნობით, ჩვენ ამჟამად პოსტბიჰევიორისტულ, პოსტპოზიტივისტურ ხანაში ვიმყოფებით და, სავარაუდოდ, უცნობია, ეს რამდენ ხანს გასტანს. დისციპლინა დანაწევრებულია და მისი თითოეული ნაწილი განწირულია საიმისოდ, რომ განცალკევებულად არსებობდეს.

ხედვა, რომელსაც ამ თავში გთავაზობთ, ემყარება ლიტერატურის ანალიზს ძველი დროიდან დღევანდელობამდე და ასახავს არსისა

და მეთოდის ერთიანობის, კუმულაციური ცოდნის საფუძვლების ზრდის მნიშვნელობას, წარმოჩენილია ასევე დამოკიდებულება მკაცრი დასკვნებისადმი. შეიმჩნევა პლურალიზმი მეთოდისა და მიდგომის თვალსაზრისით, მაგრამ ის ეკლექტური და სინერგეტიკულია უფრო მეტად, ვიდრე იზოლაციური. ის მიუთითებს მარქსისტული მეცნიერების წვლილზე სოციალური კლასების ისტორიის გათვალისწინებით, შტრაუსისა და მისი მიმდევრების დამსახურებაზე პოლიტიკური იდეების ისტორიაში, რაციონალური არჩევანის წვლილზე პოლიტიკურ მეცნიერებაში ანალიტიკური სიზუსტის თვალსაზრისით და ა.შ. ამგვარი პლურალიზმი სულაც არ მიჯნავს მეცნიერებს, ის ეკლექტურია, ინტერაქტიული და, საბოლოო ჯამში, იმართება წესების დაცვითა და უეჭველი მონაცემების გამოყენების სავალდებულო აღიარებით.